საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 9 დეკემბერი, 2014 წელი.

№248 (7628)

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდეული სიფცვაა, ფცეილებით და ჯოხებით ბუნთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

რას გვეთამაშება ამერიკა აფხაზეთში? 4

ხალხის კეთილდღეობა და ბიუჯეტის შევსება – ხარისხის უგულებელყოფით 9

დიდი რყევები წინასაახალწლოდ! 3

მილსადენების „ჰარმონიზაცია“ 6

ხოკოს პრობლემები

ანუ „ენგურჰესს“ იმთავითვე ჰქონდა და აქვს სწორი პოზიცია

4

◎ დღის ამოჭრაზურიდან

ძებნილი სააკაშვილი პოლონელთაგან ნაჩუქარი ხმლის კედელზე დაკიდებას არ აპირებს...

— თავხედობა და უტიფრობა გამიგია, მაგრამ ამისთანა რამ არცროდის არა მსმენია.

— რა იყო, რა მოხდა?

— როგორ თუ რა მოხდა, შენ ნამდვილად ჩამორჩენილხარ ცხოვრებას. ვერ უყურე, ვითომ კაცობრიობის წინაშე დამსახურებისთვის ეს ჩვენი ძებნილი და ბრალდებული სააკაშვილი თავისნაირმავე პოლონელმა ამფსონებმა რომელიღაც ნაციონალისტი პოლონელი მარშლის ხმლით დაასაჩუქრეს.

— მერე რა, იმდენი ჯარი და შეიარაღება ებარა, თანაც პრეზიდენტი და მხედარმთავარი იყო და ვერაფერს გახდა, ლამის მთელი საქართველო რუსების საკუთრება გახადა და ერთი ნაჩუქარი ხმლით რას იზამს, ვის რა ფეხებს მოათლის?

— შენ, გეტყობა, არც ის მოგისმენია, რა ყინჩად განაცხადა, ამ ხმალს არ ჩავაგებ, არც კედელზე დავკიდებ, ოკუპანტ რუსებს არ გავახარებ, ჩემი სამშობლოს ამჟამინდელი უნიათო ხელისუფლებისგან გასანთავისუფლებლად ვიბრძოლებო.

— ვაი მაგის პატრონს, თუ ეგეთი ვაჟკაცია, რა გარე-გარე დარბის, ჩამოვიდეს და მართლმსაჯულებას ყველა კითხვაზე პასუხი გასცეს. თუ მართალია, რისა ეშინია? თუ უნდა იმ ხმლით მივიდეს სასამართლოს სხდომაზე.

— ეგ ქვეყნის ამომგდები უტიფარი თაღლითი თუ პოლონელთაგან ნაჩუქარი ხმლით იმუქრება, ბოკერია სამაგიეროდ უხმლოდ აპირებს ივანიშვილის დანატოვარი ხელისუფლების დამხობას, და ანტისახელმწიფოებრივი მოქმედება რომ არ დაბრალდეს, დემოკრატიული გზით უნდა შევცვალოთ „ოცნებაო“, თან ამის დაყოლება არ ავიწყდება.

— ეგ ტუჩაბილგაწყობილი გივი თარგამაძე რა, ნაკლებებს ამბობს, ანდა ქოჩორა კანდელაკი თუ პირდაპირ ხელისუფლების დამხობისკენ ვაშად მომწოდებული ვაშაძე?!

— ერთი სიტყვით, ასეა თუ ისე, ეს ჩვენი „ოცნება“ აშკარად დაამჭლევეს. ჯერ მარტო გავეშებული ნადირაშვილის ქალი თქვი, რა დღეშია, რა ჭორებისა და ცრუ ბრალდებების კორიანტელს აყენებს!

— არა, პირდაპირ საოცარია, როდემდე უნდა უყუროს ასე მშვიდად და უმოქმედოდ „ოცნებამ“ ამ თავზე ხელაღებულ ნაციონალთა ნარჩენების ყოველწუთიერ დამანგრეველ უტიფარ შეტევებს?!

— ნუთუ ასე ძნელია, რომ პარლამენტმა და მთავრობამ რაც შეიძლება მალე მიიღონ ამ ჯგუფის დაუფარავად ანტისახელმწიფოებრივი და ანტისახელისუფლებო მტრული მოქმედების საწინააღმდეგო კანონი, რომელიც დემოკრატიულ ჩარჩოებში იქნება მოქცეული და ხელისუფლების კვლავ ხელში ჩაგდებისთვის აგრერიგად თავგასულ ნაციონალებს ერთხელ და სამუდამოდ დაუბლაგვებს სამარცხვინო და უკვე ყოველგვარ საზღვარს გადასული ბრძოლის იშტას.

— დროზე, ბატონებო, დროზე, თორემ ხალხის მოთმინების ფიალა უკვე პირთამდეა სავსე და მალე თვალმიუდევნებელ ადუღებულ რძესავით გადმოვა და საბედისწეროდ დაფუფქავს უქმად შემყურეთ.

— არადა, ხომ ხედავთ, უწესო, უსინდისო, შუბლის ძარღვგაწყვეტილი ადამიანები ბევრად უფრო ადვილად ერთიანდებიან ახალი ბოროტების ჩასადენად, ვიდრე კეთილსინდისიერი, ღვთისნიერი ადამიანები, რომელთაც ქვეყნისთვის აშკარად სიკეთე სურთ.

— მაგრამ მარტო სურვილი ნამდვილად არ კმარა, სურვილს თან სამართლიანი ბრძოლის ჟინიც უნდა ახლდეს.

— არა და არ უნდა მივცეთ ქართველთმოძულე სააკაშვილს საქართველოს არცთუ კეთილმოსურნეთაგან ნაჩუქარი ხმლით კიდევ ერთხელ მოქნევის საშუალება... მაგრამ, თუ მაინც მოიქნია, ისევ და ისევ თავის თავს ავნებს, თუმცაღა, ერთხელ უკვე სამუდამოდ მოჭრილი თავის ხელმეორედ მოჭრა ყოვლად შეუძლებელია...

მოისმინა

გურამ წიკლაურმა.

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

საქართველოს მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობს სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერებას

ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა საქართველოს დაზვერვის სამსახურში ახალ სასწავლო ცენტრში სტუმრობისას განაცხადა.

პრემიერმა ქვეყნის ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე არსებულ გამოწვევებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ მათზე სათანადო რეაგირებისათვის საქართველოს ძლიერი დაზვერვის სამსახური სჭირდება.

ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, საფრთხეების დროული იდენტიფიცირება და საქართველოს ხელისუფლების წინმსწრები ინფორმირებულობა რისკებს მნიშვნელოვნად ამცირებს.

„გასულ წლებში საქართველოს დაზვერვის სამსახურს არ ჰქონდა ხელისუფლების სათანადო მხარდაჭერა. რომ არა ამ სამსახურის მიმართ მათი არაჯეროვანი დამოკიდებულება, ჩვენი ქვეყანა ბევრ დიდ პრობლემას აიცილებდა თავიდან. დღეს საქართველოს მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობს დაზვერვის სამსახურის გამართულ და ეფექტურ მუშაობას, რადგან ეს სამსახური უზრუნველყოფს ქვეყნის უსაფრთხოებას“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

გუბერნატორებმა ერთწლიანი მუშაობის ანგარიში წარმოადგინეს

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გუბერნატორებთან მორიგი სამუშაო შეხვედრა გამართა. შეხვედრაზე რეგიონებში არსებულ მდგომარეობაზე და მიმდინარე რეგიონულ პროექტებზე იმსჯელეს.

როგორც პრემიერის პრესსამსახურიდან იტყობინებიან, მთავრობის მეთაური დაინტერესდა, რამდენად არის მზად რეგიონები ზამთრის სეზონისთვის. გუბერნატორებმა პრემიერ-მინისტრს ერთწლიანი მუშაობის ანგარიში წარუდგინეს.

თავდაცვის სამინისტრო სააკაშვილის უპასუხისმგებლო განცხადებას ეხმაურება

ყოფილი უმაღლესი მთავარსარდლის მოწოდება არის უპასუხისმგებლო, გაუმართლებელი პროპაგანდა, რომელიც მიმართულია საკუთარი ქვეყნისა და სახელმწიფო ინსტიტუტების წინააღმდეგ, — ამის შესახებ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს განცხადებაშია ნათქვამი.

თავდაცვის სამინისტრო ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ინფორმაციას ეხმაურება, რომლის თანახმადაც, ქართველ ოფიცრებს, რომლებიც უკრაინის შეიარაღებულ ძალებში იმსახურებენ, უკრაინის მოქალაქეობას ჰპირდებიან.

„ექს-პრეზიდენტის მიერ გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს ქართველი ოფიცრები მზად არიან დატოვონ საქართველოს შეიარაღებული ძალები და სამსახური გაგრძელონ სხვა ქვეყანაში, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. შეიარაღებულ ძალებში არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, როდესაც ქართველმა ოფიცრებმა დატოვეს ქვეყანა და სხვა ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში დაიწყეს სამსახური.

ჩვენი ინფორმაციით, უკრაინაში იმყოფება საქართველოს რამდენიმე მოქალაქე, რომლებიც წლების წინ მსახურობდნენ საქართველოს შეიარაღებულ ძალებში და ამჟამად, შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში არ ირიცხებიან.

ქართველ ოფიცერთა შემადგენლობა ჩვენი საზოგადოების გამორჩეულ ნაწილს წარმოადგენს. ჩვენი ოფიცრები, სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მიღების სანაცვლოდ არ შეწყვეტენ საკუთარი სამშობლოს, საზოგადოების უსაფრთხოების დაცვას. ისინი იცავდნენ და ყოველთვის დაიცავენ საქართველოს. მაშინ, როდესაც თვალნათლივ გამოხატულია თავდაცვის სამინისტროს უცვლელი კურსი ნატო-სკენ, მიმდინარეობს უმნიშვნელოვანესი, მაღალი დონის შეხვედრები, ყოფილი პრეზიდენტი ცდილობს, შეცდომაში შეიყვანოს შეიარაღებული ძალების შემადგენლობა და საზოგადოება. ყოფილი უმაღლესი მთავარსარდლის მოწოდება არის უპასუხისმგებლო, გაუმართლებელი პროპაგანდა, რომელიც მიმართულია საკუთარი ქვეყნისა და სახელმწიფო ინსტიტუტების წინააღმდეგ“, — ნათქვამია განცხადებაში.

◎ მილოცვა

საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი ულოცავს ჩვენი პრეზიდიუმის წევრს — ბატონ **როინ მეტრეველს** დაბადებიდან 75-ე წლისთავს.

ბატონი როინი არის გამოჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი.

ბატონ როინს ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და წარმატებებს შემოქმედებით საქმიანობაში.

მერაბ ბერძენიშვილი

პედაგოგთა ხელფასების გაზრდა იანვრიდან სარისკო საქმეა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე პედაგოგთა საბაზისო ხელფასის იანვრიდან გაზრდის თაობაზე პედაგოგთა პროფკავშირების მოთხოვნას ეხმაურება.

როგორც მინისტრმა ჟურნალისტებს განუცხადა, სამინისტროს დიდი სურვილი იყო, რომ პედაგოგების სახელფასო მატება რაც შეიძლება მალე განხორციელებულიყო, მაგრამ ერთი მხრივ, ეს კავშირშია სქემის დანერგვასთან, მეორე მხრივ, კი საბიუჯეტო სახსრებთან.

„ხელფასების ზრდის უზრუნველყოფა მხოლოდ პირველი სექტემბრიდან შეგვიძლია. სხვა შემთხვევაში გარკვეული რისკი არსებობს, რომ გაუთვლელად საბიუჯეტო სახსრები შესაძლებელია არ იყოს საკმარისი. ამ რისკს ჩვენ თავზე ნამდვილად ვერ ავიღებთ. ძალიან დიდი სურვილი იყო, პედაგოგთა ხელფასი გაზრდილიყო იანვრიდან, მაგრამ მე ვფიქრობ, ესეც ძალიან დიდი წინგადადგმული ნაბიჯია. ჩვენ, რეალურად ამ ზრდას განვახორციელებთ რამდენჯერმე, რათა, ძალიან მოკლე პერიოდში მასწავლებლის ხელფასი შესაბამისობაში მოვიყვანოთ საქართველოში არსებულ საშუალო ხელფასთან“, — განაცხადა თამარ სანიკიძემ.

მისივე ინფორმაციით, პედაგოგთა ხელფასების ზრდის პირველი ეტაპი 2015 წლის სექტემბრიდან განხორციელდება.

სირიის ქალაქ ქობანში 21 წლის ზელიმხან ჩათიაშვილი დაიღუპა

სირიის ქალაქ ქობანში აფეთქებას 21 წლის ზელიმხან ჩათიაშვილი ემსხვერპლა. ზელიმხან ჩათიაშვილი წარმოშობით პანკისის ხეობის სოფელ ბირკიანიდან არის. ინფორმაცია მისი გარდაცვალების შესახებ ჩათიაშვილის ახლობლებმა დაადასტურეს.

სირიის ქალაქ ქობანში გარდაცვლილი 21 წლის ზელიმხან ჩათიაშვილის ოჯახის წევრები კომენტარს არ აკეთებენ. როგორც „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი იუწყება, ჩათიაშვილს მშობლები და სამი ძმა დარჩა.

ჟურნალისტებთან საუბრისას პანკისის ხეობის უხუცესთა საბჭოს გამგეობის თავმჯდომარემ ზაურ გუმაშვილმა განაცხადა, რომ პანკისელი ახალგაზრდები სირიაში არა მხოლოდ იდეის, არამედ მატერიალური დაინტერესების გამოც მიდიან. მისივე თქმით, ახალგაზრდები სირიაში თურქეთიდან გადადიან.

ამასთან, ამ დროისთვის არსებული მონაცემებით, სირიის კონფლიქტში უკვე რვა პანკისელი ახალგაზრდა დაიღუპა, ხოლო 50-მდე კვლავ სირიაში იყოფება.

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● სულ ლარი კი არ ვიყავი, სახლში 2 დიპლომი მაქ!

● ეჰ, რა დრო იყო, ბიჭები დილას 37 მანეთად გადავფრინდებოდით მოსკოვში, 64 კაპიკად ვიყიდდით დოლარს და საღამოს გადმოვფრინდებოდით!

ქვეყანაში, სადაც დღის მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში ტელეწამყვან თეა სიჭინავას პოლიტიკოსი გუგული მაღრაძე ჰყავს სტუმრად და ეკონომიკურ პრობლემებზე ესაუბრება, პრეზიდენტი მარგველაშვილი უნდა იყოს, ოპოზიციაში ირმა ნადირაშვილი! კანონებს ზაქარია ქუცნაშვილი უნდა წერდეს.

● თუ აქამდე ქართველი მოხუცის მოსავლელად ევროპიდან გადმოხვეწილი ქალბატონი, სახლში 150 ლარის შესაბამის 85 დოლარს აგზავნიდა, ახლა 76 დოლარს გაგზავნის.

რა პირით შევხედოთ ევროპას?

● ნატოს კარზე რო დავაკაკუნოთ და გაზიდან ვართო, არა?

● ეტაპობრივად, სკრუპულოზულად რომ განვიხილოთ ჩვენთვის სენსიტიური საკითხები, მენტორული ტონით შევუძახოთ საკუთარ თავებს ვიდრე ოდიოზურ ფიგურებად წარმოვჩინდებით და შერწყმითი ჩამოყალიბების შედეგად დისონანსური იდილიას მივაღწიოთ?

ჰა-თ?

● უკრაინაში ეტყობა არ იციან აქაური მიბმების ამბავი, თორე დენის დარტყმის შიშით ამდენ ნაგავს არ გაზიდავდნენ.

● ქალაქში, მტვერში, წაიქცა ლარი, ნუკრის თვალებით, თმით — მიმოზებით $

● რომან გოცირიძემ დაიპყრო მთელი მედია სივრცე და რა ხდება, კუპონს ვუბრუნდებით?..

● გუგული მაღრაძე პოლიტიკოსი ყოფილა. მე რა შუაში ვარ, თვითონ თქვა.

● ღია წერილი რაინდ სააკაშვილის ემიგრანტ ფანებს:

ის, რომ საკუთარი ერის უმრავლესობას იდიოტებად და უმადურებად თვლით, ეს ჯანდაბას, გავატაროთ, მატერიალური კომფორტი, ადებილებს და ვარდისფერ სათვალეს აჩენს, არაა თქვენი ბრალი, მაგრამ სრული იდიოტიზმია, როცა აი ასე ფიქრობთ:

— დიახაც იმსახურებდა რაინდობას ექს-პრეზიდენტი, პოლონელებმა თქვენზე უკეთ იციან, თუ რა მასშტაბის პიროვნებაა მიხეილ სააკაშვილი. — ჩარტში მომწერა, ერთმა მასშტაბურად მოაზროვნემ.

გაღატაკებული მოსახლეობის ფულს რომ დახარჯავს მასაჟიტებზე, მზარეულებზე, ნაშებზე, თვითმფრინავებზე, ბოტოქსებზე, ფალოსის გაზრდაზე, შმოტკებზე და ფრანგი რაინდის წინ რომ იფორთხიალებს მიწაზე, იმ ქათმის რაინდობაზე ლაპარაკი, ცოტა გადამეტებული არ გეჩვენებათ?

ცოტა ჭკუას მოუხმეთ, ტო!

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ განსჯა



დიდი რყევები წინასაახალწლოდ!

ანუ რას მოგვიტანს წლის ბოლომდე დარჩენილი დრო?

გასულ რამდენიმე დღეში განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე, ძალიან ნათლად ჩანს, რომ საქართველო „სეისმურად“ აქტიურ ზონაში აღმოჩნდა: იმ შიდა სახელისუფლებო თუ საფინანსო-ეკონომიკურმა რყევებმა, რომლებიც შეუიარაღებელი თვალითაც ადვილად ჩანდა, ქვეყანა დიდი კატაკლიზმის წინაშე დააყენა.

ლარის კურსის ვარდნასთან დაკავშირებით ექსპერტები, წარმომადგენლები სხვადასხვა სახის ვერსიებს გვთავაზობენ. არის ისეთი სიტყვების და კიდევ უამრავი ეკონომიკური ტერმინის რახარუხი, როგორიცაა, მაგალითად, „მონეტარული პოლიტიკა“, „ინფლაციის ზედა ზღვარი“, „ეკონომიკის ინერციულობა“ და ა. შ. შედეგი კი, სამწუხაროდ, ისაა, რომ თუ აქამდე ქართველი მოხუცის მოსავლელად ევროპიდან გადმოხვეწილი ქალბატონი სახლში 150 ლარის შესაბამის 85 დოლარს აგზავნიდა, ახლა 76 დოლარს გაგზავნის (რა პირით შევხედოთ ევროპას?).

ირონია იქით იყოს და, ლარის კურსის ასეთი კატასტროფული ვარდნა, უწინარესად, საქართველოს მოსახლეობის იმ ნაწილზე აისახება, რომლებიც არ იღებენ სხვადასხვა სახის დანამატს, არ სარგებლობენ საკომუნიკაციო თუ სატრანსპორტო შეღავათებით. რომლებიც ყოველდღე მორიგი გაძვირების მოლოდინში, შიშით შედიან აფთიაქებსა თუ მაღაზიებში.

ამასთან დაკავშირებით ერთ–ერთ ძირითად ვერსიად რუსეთის ეკონომიკური კრიზისი და ამის გამო იქ სამუშაოდ წასული მოქალაქეების მიერ გადმორიცხული თანხების შემცირება დასახელდა (აქაც რუსეთი!).

მოდით, რუსეთს თავი დავანებოთ და ვნახოთ, რა ხდება რეალურად.

როგორც ექსპერტი ლევან კალანდაძე განმარტავს, **„თუ ფინანსთა სამინისტრო გაარძელებს ხარჯვით პოლიტიკას, რომელიც ორიენტირებულია მიმოქცევაში ჭარბი ლარის გამოშვებაზე, ანუ ფორმალურად ბიუჯეტის შესრულებაზე, მაშინ ეროვნული ბანკის ინსტრუმენტები იქნება ნაკლებად ეფექტური“.**

„ჩვენ უნდა გავაკეთოთ არჩევანი — ან ქაღალდზე უნდა შევასრულოთ ბიუჯეტი და ეკონომიკაში ბევრი ფული გავუშვათ, ან არ შევასრულოთ, მაგრამ ლარი გადავარჩინოთ. ეს უკვე პოლიტიკური გემოვნების და პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხია. ჩემი ვარაუდით, ამას მთავრობა იმიტომ უშვებს, რომ ჩვენს ქვეყანაში თავად ბიუჯეტი არის პოლიტიკური და არა ეკონომიკური პროცესი. ბიუჯეტის შეუსრულებლობის გამო, შესაძლოა, ვიღაცას პასუხი მოეთხოვოს. სამწუხარო ტენდენციაა, რომ ლარის კურსის გაუფასურებაზე პასუხი არავის მოეთხოვება“ — აცხადებს ლევან კალანდაძე.

მართლაც საინტერესოა, დადგება თუ არა საფინანსო(ეკონომიკური მიმართულების მინისტრების პასუხისმგებლობის საკითხი?

სავარაუდოდ, არა, რადგანაც ფინანსთა მინისტრის თქმით, **2014 წლის ბიუჯეტის შესრულებას, მათ შორის ხარჯვით ნაწილში, საფრთხე არ ემუქრება.**

ეს განცხადება კი ნიშნავს, რომ მთავრობას ურჩევნია, „გადაარჩინოს“ ბიუჯეტი, ანუ ფორმალურად შეასრულოს, ხოლო ლარი და მის სიმყარეზე დამოკიდებული მოსახლეობა გაწიროს.

ასე რომ, „მონეტარული პოლიტიკა“, „ინფლაციის ზედა ზღვარი“, „ეკონომიკის ინერციულობა“ და „რუსეთის ეკონომიკური კრახი“ არაფერ შუაშია და ძაღლის თავი ხელისუფლების მუშაობის მთავარ დევიზშია, რომელიც ასე ჟღერს: **„ოღონდ არაფერი გავაფუჭო და არაფერს გავაკეთებ“!**

რა ბევრი ფიქრი და ოცნება უნდა იმის მიხვედრას, რომ ის თანხები, რომლებიც სამინისტროებს თუ საქართველოს ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოს გეგმაზომიერად უნდა აეთვისებინათ, ქვეყანაში სამუშაო ადგილების შექმნას, საბიუჯერო თანხების სწორ მიმოქცევას და ფინანსურ სტაბილიზაციას შეუწყობდა ხელს. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა და სტაბილურობის ნაცვლად ლარის თითქმის ოცბალიანი რყევა მივიღეთ.

ამ ფონზე „უცნობი მიზეზით“ რამდენიმე მაღალჩინოსნის მიერ თანამდებობების დატოვება (მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველობებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსმა აკაკი ჩხენკელმა თანამდებობა დატოვა. ჩხენკელის განცხადება პრემიერ-მინისტრმა უკვე დააკმაყოფილა. მიზეზები უცნობია. თანამდებობა დატოვა სახელმწიფო რწმუნებულმა გურიის მხარეში გიორგი ჩხაიძემ. როგორც გუბერნატორმა „გურია ნიუსთან“ საუბრისას განაცხადა, ეს მისი პირადი გადაწყვეტილება იყო. მისი თქმით, იგი „უბრალოდ სახლში წავიდა“. ჩხაიძემ თანამდებობის დატოვების მიზეზების შესახებ დამატებითი კომენტარის გაკეთება საჭიროდ არ ჩათვალა), სამთავრობო სტრუქტურებში განსახორციელებელი რყევების დასაწყისად შეიძლება ჩაითვალოს.

ვნახოთ, თუ როგორ განვითარდება მოვლენები, რადგანაც თუ ინტერნეტში მოარულ ხმებს დავუჯერებთ, ყოფილი და ახლანდელი პრემიერ-მინისტრების ბოლო შეხვედრის შემდეგ ირაკლი ღარიბაშვილი ძალიან გაბრაზებული უნდა იყოს.

გია გაბრიჭიძე

◎ ალიანჩალიანი

სათამაშო ბიზნესი – პარტიათა დამფინანსებელი

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ აზარტული თამაშების ბაზრის შესახებ პირველი კვლევის ანგარიში წარმოადგინა.

კვლევის მიხედვით, სათამაშო ბიზნესში 30-ზე მეტი დიდი კომპანიაა ჩართული, საიდანაც მხოლოდ ოთხის შემთხვევაში დაფიქსირდა პოლიტიკური პარტიის მიმართ გაკეთებული შემოწირულობა.

კერძოდ, ორგანიზაციის კვლევის მიხედვით შპს „ჯეობეთი“ და შპს „კონტრასტ-პლიუსის“ მფლობელმა თეიმურაზ უგულავამ 2012 წლის არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ 60 000 ლარი შესწირა.

ასევე, ანგარიშის მიხედვით შპს „სლოტ-გლდანის“, შპს „წითელი და შავისა“ და შპს „ევროკაპიტალის მფლობელმა ვლადიმერ ბაკურაძემ იმავე პერიოდში ასევე „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ 50 000 ლარი შესწირა. ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ შპს „ბიტსინის“ მფლობელმა ირაკლი ხახუბიან 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე ნაციონალურ მოძრაობას 10 000 ლარი შესწირა. 2013 წლის მაისში კი საქართველოს ლატარიის კომპანიის დირექტორმა ლევან ჩიკვილაძემ „ქართულ ოცნებას“ 20 000 ლარი შესწირა. კვლევაში მითითებულია, რომ ლევან ჩიკვაიძე საქართველოს ფოსტის გენერალური დირექტორიც არის.

ანგარიში ორნაწილიანია და როგორც „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოში“ აცხადებენ, მეორე ნაწილის გამოქვეყნების შემდეგ მოხდება რეკომენდაციებისა და ანალიზის მომზადებაც გამოკვეთილი ტენდენციების შესაბამისად. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ხელმძღვანელის ეკა გიგაურის განცხადებით, ანგარიშის შედეგების მიხედვით ყველაზე პრობლემატური არის საქართველოს ლატარიის კომპანია, სადაც 70%-ნი წილის მფლობელია სახელმწიფო და 30%-ს საქართველოს ფოსტა ფლობს.

„ამ კომპანიის მიერ შემოწირულობის განხორციელება „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ უფრო მეტად არის პრობლემატური, იმიტომ, რომ აქ სახელმწიფოს მფლობელობა და მონაწილეობაც შეიმჩნევა. ზოგადად ლობირებას რაც შეეხება, როცა გარკვეული კავშირები იკვეთება კომპანიებსა და პოლიტიკურ პარტიებს შორის, ეს შეიძლება იყოს კითხვის დასმის საშუალება, თუმცა, არ ვფიქრობ, რომ აქ ძალიან დიდი პრობლემა გამოიკვეთა, უბრალოდ მეტი მონიტორინგის ქვეშ უნდა იმყოფებოდეს ასეთი შემთხვევები“, — განაცხადა ეკა გიგაურმა.

კვლევა ჩატარებულია 2005-2014 წლებში საქართველოს მასშტაბით აზარტული თამაშების ბიზნესზე.

სიახლეები სასწრაფო სამედიცინო დახმარების სფეროში

აღმოსავლეთ საქართველოს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის მედპერსონალი მეცამეტე ხელფასს მიიღებს, მომავალი წლიდან კი მათი ანაზღაურება 30%-ით გაიზრდება, — ამის შესახებ განცხადება ჯანდაცვის მინისტრის მოადგილემ ზაზა სოფრომაძემ თელავში აღმოსავლეთ საქართველოს სასწრაფო სამედიცინო დახმარების რაიონული ცენტრის ავტოპარკისთვის მანქანების გადაცემის ცერემონიაზე გააკეთა.

ცენტრის განახლების მეორე ეტაპი დაიწყო. ავტომობილების გადაცემის ცერემონია თელავის ცენტრალურ მოედანზე გაიმართა.

ახალი, სამედიცინო ტექნიკით აღჭურვილი 10 მაღალი და 7 საშუალო გამავლობის ავტომობილი სასწრაფო სამედიცინო დახმარების რაიონულ ცენტრებში გეოგრაფიული პრინციპის გათვალისწინებით გადანაწილდება.

აღმოსავლეთ საქართველოს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის ავტოპარკის განახლების მეორე ეტაპზე ახმეტის, გურჯაანის, საგარეჯოს, ყვარლის, ლაგოდეხის, წნორი-სიღნაღისა და თელავის განყოფილებებს ერთი, დედოფლისწყაროს რაიონულ ცენტრს კი 3 მაღალი გამავლობის, „Wolksvagen“-ის მარკის ავტომობილი გადაეცემა. ასევე, წნორი-სიღნაღის, ლაგოდეხის და ახმეტის რაიონულ ცენტრებში ერთი, საგარეჯოსა და გურჯაანის რაიონულ ცენტრებში კი 2 საშუალო გამავლობის, Ford-ის მარკის ავტომობილი განაწილდება.

სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის ავტოპარკის განახლების პროცესი, მთელი ქვეყნის მასშტაბით, 29 ოქტომბერს დაიწყო. პირველ ეტაპზე, თელავის სასწრაფო დახმარების განყოფილებას 2 ახალი, საშუალო გამავლობის ავტომობილი გადაეცა. სასწრაფო დახმარების ავტოპარკი ამ დრომდე 69 სპეცავტომობილით განახლდა.

მთელი ქვეყნის მასშტაბით, წლის ბოლომდე, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის ავტოპარკი 180 მანქანით შეივსება.

მედიკამენტებზე ფასის მატება არ შეინიშნება

ამის **შესახებ რეგულირების სააგენტოს ფარმაცევტული საქმიანობის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა დავით მაჭარაშვილმა განაცხადა.**

— სამინისტრო ვაწარმოებთ გარკვეულ მედიკამენტებზე მონიტორინგს და შემიძლია გითხრათ, რომ ფასის მატება არ შეინიშნება. ძირითადი მონაცემები მაინც გვაქვს სადისტრიბუციო კომპანიებიდან და მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ამ ეტაპზე არანაირი ცვლილებები არ არის. ისინი ვარაუდობდნენ, რომ ამ კვირაში ფასების გადახედვა მოხდებოდა, მაგრამ, რადგან ლარის კურსი შედარებით დასტაბილურდა, როგორც ინფორმაციას გვაწვდიან, არავითარი ცვლილებები მოსალოდნელი არ არის“, — განაცხადა მაჭარაშვილმა.

მისივე თქმით, თუკი ბოლო დღეებში იმპორტირებულ მედიკამენტებზე შეიძლებოდა მომხდარიყო ფასის გარკვეული ცვლილება, ეს საშიშროება დღეის მდგომარეობით აღარ არსებობს.

დეპუტატს თურქეთში გადასვლის უფლება არ მისცეს

საგარეჯოს **საკრებულოს დეპუტატი კაზანთერ მამედოვი აცხადებს, რომ საფინანსო პოლიციის და სარფის საბაჟოს თანამშრომლებმა თურქეთში გადასვლის უფლება შეუზღუდეს.**

„გადასვლას ვაპირებდი თურქეთში, პირადი საქმე მქონდა. მესაზღვრემ გამაჩერა სარფის სასაზღვრო პუნქტზე, 10 წუთი შემაყოვნა და შემდეგ მითხრა — ვერ გადახვალთ საზღვარზეო. შემდეგ მოვიდა სხვა თანამშრომელი, რომელიც ტელეფონზე ლაპარაკობდა, მომაწოდა ტელეფონი და ამ სატელეფონო საუბრის დროს მითხრეს — საფინანსო პოლიციიდან ვარ, გამომძიებელი ჟვანია, მოწმის სახით ხართ დაბარებული თბილისში საფინანსო პოლიციაში და დღის ხუთ საათამდე უნდა მოხვიდეთ. ვუთხარი, რომ თურქეთში მაქვს საქმე, დღესვე ვაპირებ გადმოსვლას, მაგრამ მითხრა ვერ გადაკვეთთ საზღვარსო. არ ვიცი, რატომ მიბარებენ. დავრეკე სახლში და მეუღლემ მითხრა, რომ სახლში უწყება არ მისულა. მესაზღვრეებს ვთხოვე აეხსნათ, რის საფუძველზე არ მიშვებდნენ, მაგრამ მითხრეს ჩვენ ვერ გაგცემთ პასუხსო“, — აღნიშნა კაზანთარ მამედოვმა.

კაზანთარ მამედოვი აცხადებს, რომ ყოფილი პოლიტპატიმარია. მისივე თქმით, მისი უფლებების შეზღუდვასთან დაკავშირებით სახალხო დამცველი და საია საქმის კურსში ჩააყენა.

ინტერპრესი

◎ რეზონანსი

„ენგურჰესს“ იმთავითვე ჰქონდა და აქვს სწორი პოზიცია

ისევ ხოკოს პრობლემებთან დაკავშირებით

ჯერ კიდევ 2009 წელს გაჩნდა პრესაში „ენგურჰესის“ წყალსაცავის მიდამოებში, ხოკოს უბანზე თაბაშირის მოპოვებასთან (სამუშაოებს აწარმოებს შპს „ხიბლი“) დაკავშირებული პრობლემები. ამ პუბლიკაციას ხელს აწერდნენ ქალაქ ჯვარსა და მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ადამიანები. მათი აზრით, ამ მიდამოებში სამუშაოების წარმოებას შეიძლება მოჰყოლოდა კატასტროფული შედეგები (მეწყრის მოწყვეტა და მიწის დიდი მოცულობის ჩავარდნა წყალსაცავში, ენგურისა და მაგანის წყალგამყოფი ქედის გარღვევა და სხვა).

ენგურჰესის ხეობის მარცხენა მხარეს, კაშხლიდან 2კმ-მდე მანძილის დაშორებით, მდებარეობს მეწყრული მასივი სახელწოდებით ხოკო. იგი ჯერ კიდევ ენგურჰესის კაშხლის პროექტირების პერიოდში გამოავლინეს და სათანადო საინჟინრო კვლევების საფუძველზე მისი მდგომარეობა აკმაყოფილებდა უსაფრთხოების მოთხოვნებს.

ენგურჰესის ექსპლუატაციის პერიოდში, წყალსაცავის შევსება-დაცლის რეჟიმის შესაბამისად, მეწყერული ზონა პერიოდულად განიცდის წყლის ნეგატიურ ზემოქმედებას. ყოველივე კი გარკვეულ ცვლილებას იწვევს მასივში.

ამდენად, პუბლიკაციის ავტორთა შეშფოთება გასაგებია, თუმცა, ზოგჯერ პატივცემულ ავტორებს მიმართვისა და კრიტიკის ობიექტი არასწორად აქვთ შერჩეული. ასევე მიუღებელია ზედმეტად ემოციური ტონი და შეურაცხმყოფელი გამონათქვამები.

საგაზეთო სტატიებსა და სატელევიზიო გადაცემებში უმოქმედობაში ადანაშაულებენ ენგურჰესის ხელმძღვანელებს, რაც სიმართლეს არ შეესაბამება. მოვიყვანთ ფაქტებს:

2009 წელს, ენგურჰესის თხოვნით, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს და შპს „ჰიდროპროექტის“ სპეციალისტებმა მოამზადეს დასკვნა, სადაც ნათქვამია: **„არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, საკითხი იმდენად სერიოზულია, რომ აუცილებლად უნდა განხორციელდეს მეწყრის კომპლექსური კვლევები, რომელიც მოიცავს გეოლოგიურ, ჰიდროლოგიურ, გეოფიზიკურ და სხვა საინჟინრო კვლევებს.**

ასევე ენგურჰესმა მიმართა (2012 წლის ივნისი) ლიცენზიის გამცემ ორგანოს შეკითხვით:

„ხსენებული კარიერი განთავსებულია მეწყრულ ზონაში და მდებარეობს „ენგურჰესის“ წყალსაცავის მარცხენა ფერდზე. საზოგადოდ გრუნტის ამოღება მოქმედებას ახდენს გარემომცველ გარემოზე, განსაკუთრებით ფერდის ზედა ნაწილზე.... ენგურჰესის ჰიდროკვანძის პასუხისმგებლობისა და უსაფრთხოების დონიდან გამომდინარე გვაინტერესებს, ზემოხსენებულ ლიცენზიატს ჰქონდა თუ არა რაიმე საინჟინრო-კვლევითი დადასტურება. სათანადო დოკუმენტის არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ გამოგვიგზავნოთ შესაბამისი ასლი“.

პასუხი ასეთი იყო:

„....ლიცენზია შპს „ხიბლზე“ გაცემულია 2007 წლის 9 მარტს 20 წლის ვადით. იმ პერიოდისათვის ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი კოორდინატების ფარგლებში სალიცენზიოდ შერჩეულ ობიექტზე, სსიპ „სივრცული ინფორმაციის ცენტრის“ მიერ მზადდებოდა საინფორმაციო პაკეტი, გეოლოგიურ ფონდურ მასალებზე დაყრდნობით, ობიექტზე გაუსვლელად. ამასთან, გაცნობებთ, რომ სალიცენზიოდ შერჩეული ობიექტის ვიზუალური სანჟინრო-გეოლოგიური და გეოდინამიკური შეფასებები დაიწყო 2007 წლის სექტემბრის თვიდან. რაც შეეხება პრობლემას, „ენგურჰესის“ წყალსაცავის მარცხენა ფერდის არამდგრადობის შესახებ, გაცნობებთ, რომ საკითხის შესწავლა და ადგილზე არსებული სიტუაციის შეფასება სააგენტოსა და სხვა დაინტერესებული უწყებების მიერ განხორციელდება უახლოეს მომავალში“.

ამ წერილს მოჰყვა „ენგურჰესის“ დირექტორატის წინადადება „ხიბლისთვის“ ლიცენზიის დროებით შეჩერების შესახებ, მაგრამ აღნიშნულის იურიდიული საფუძველი არ გაგვაჩნდა.

საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, „ენგურჰესმა“ კიდევ ერთხელ მიმართა შესაბამის ორგანოს.

„...რადგან წყალსაცავის ტერიტორია არ შედის „ენგურჰესის“ ტერიტორიულ საკუთრებაში და მოითხოვს საკმაოდ ძვირად ღირებულ საინჟინრო-გეოლოგიურ კვლევას, ობიექტის დიდი მნიშვნელობის გათვალისწინებით, გთხოვთ, დაგვეხმაროთ, რათა გამოიძებნოს დონორი ორგანიზაცია, რომელიც დასმულ საინჟინრო პრობლემას აღმოუჩენს ფინანსურ დახმარებას!

მიმდინარე წლის ივნისში ენერგეტიკის სამინისტროსა და ივ.ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტის დახმარებით მივმართეთ „ნატოს“ ქვეყნების მეცნიერთა ჯგუფს, მათ შორის, მილანის დედამიწისა და გაეროს შემსწავლელი სამეცნიერო დეპარტამენტს, რომელიც მუშაობს პროექტით „გეორისკების შემცირება ენგურის ჰიდროელექტროსადგურისათვის საქართველოში“ (ხელმძღვანელი – პროფ. ალტიბალტი), მაგრამ ამ პროექტის შესრულების ვადები ჯერჯერობით დაზუსტებული არ არის“.

„ენგურჰესმა“ კიდევ ერთხელ მიმართა ზემდგომ ორგანოებს და გარემოს ეროვნულმა საგენტომ გამოთქვა აზრი, რომ **„....მეწყრული ზონის კოპლექსური კვლევების ორგანიზაცია ითაოს შპს „ენგურჰესმა“ და „ენგურჰესის“ ხელმძღვანელობამ“.** საკითხის მნიშვნელობის გამო ამ პრობლემის მოგვარებაში ენგურჰესმა სხვა სპეციალისტებთან ერთად, აგრეთვე, ჩართო მოსკოვის „ჰიდროპროექტის“ გეოდინამიკური დაკვირვებების სამსახური აკადემიკოს ა. სავიჩის ხელმძღვანელობით (ეს ორგანიზაცია ენგურჰესის დაპროექტებისა და მშენებლობის მთელი პერიოდის განმავლობაში აწარმოებდა ხოკოს მეწყერზე დაკვირვებებს და ფლობს სათანადო მასალებს). აღნიშნული ორგანიზაციიდან უკვე მივიღეთ ფონდური მასალების ანალიზისა და ვიზუალური დაკვირვებების შედეგად ჩამოყალიბებული რეკომენდაციები, რომელიც გადაეგზავნა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს.

„ენგურჰესმა“, თავისი მწირი ფინანსური შესაძლებლობის მიუხედავად, 2015 წლის პირველი კვარტალის ბიზნესგეგმაში გაითვალისწინა კომპლექსური კვლევებისთვის საჭირო თანხა და ამზადებს შესაბამის სატენდერო დოკუმენტაციას.

ასე რომ, „ენგურჰესელებმა“ ხსენებულ პრობლემასთან დაკავშირებით რესპუბლიკის ყველა ინსტანციას მიმართეს დროულად და კვლავ აგრძელებენ მოქმედებას.

ამ პუბლიკაციის მიზანი არ არის იმ ქმედებების ჩამოთვლა, რაც გაუკეთებია და რასაც აკეთებს ენგურჰესი. მთავარი ის არის, რომ პიროვნება რომელიც ამა თუ იმ საკითხზე რაიმეს წერს, ის გულდასმით და სათანადოდ უნდა იცნობდეს და შესწავლილი უნდა ჰქონდეს საკითხი და ამის მერე ისაუბროს ტელევიზიასა თუ პერიოდულ პრესაში მის შესახებ!. სხვანაირად უხერხული გამოდის საუბარი.

ჩვენ მზად ვართ, ყველა დაინტერესებულ პიროვნებას თუ ორგანიზაციას მივცეთ ამომწურავი პასუხი ამ პრობლემის ირგვლივ არსებულ საკითხებთან დაკავშირებით.

ალექსანდრე ახვლედიანი,
შპს „ენგურჰესის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი

◎ ნუთუ ეს მართალია?!

რას გვეთამაშება ამერიკა აფხაზეთში?

ქართული დოყლოპატიის კრახი ჟენევაში

წლის შემაჯამებელ ინტერვიუში, აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვიაჩესლავ ჩირიკბამ მისი უწყების ბოლო მიღწევებზე ისაუბრა. ამას ირონიით სულაც ნუ შევხედავთ. მიღწევები ნამდვილად აქვს. პირველ რიგში ის, რომ 24 ნოემბერს მოსკოვთან ხელმოწერილი დოკუმენტით, სოხუმმა არ დათმო არაფერი რეალურად, მაგრამ მიიღო რუსეთისგან ყველაფერი, რაც სჭირდებოდა: 5 მილიარდი რუბლი; თურქეთთან საზღვაო მიმოსვლის დაცვა რუსული სამხედრო გემებით (ამ პუნქტს თბილისში, რა თქმა უნდა, ყურადღება არავინ მიაქცია); ფსოუზე საზღვრის გახსნა; აფხაზ პენსიონერთა და საბიუჯეტო მუშაკთა ხელფასების ზრდა; აფხაზების უფასო სამედიცინო დაზღვევა; მოსკოვის მხრიდან აფხაზური ენის აღიარება აფხაზეთში ერთადერთ სახელმწიფო ენად (მერე რომ არ ჰქონდეთ პრეტენზიები – რუსულს რატომ ჩაგრავთო) და მოსკოვის გარანტიები, რომ იბრძოლებს აფხაზეთის მსოფლიო აღიარებისათვის.

სანაცვლოდ (ვიმეორებ) მოსკოვი იღებს აფხაზური „ბუს კვერცხებს“: არც მიწების თავისუფალ ყიდვა-გაყიდვას, არც უძრავი ქონების ბაზრის ლიბერალიზაციას, არც აფხაზური ჯარის შერწყმას რუსულ სამხედრო კონტინგენტთან, არც საერაზღვრო უწყებების გაერთიანებას და არც აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ქცევას რუსული МВД-ს ფილიალად (რაც ვლადისლავ სურკოვის თავდაპირველ ვარიანტში ეწერა) ხელშეკრულება არ ითვალისწინებს.

დიპლომატიური წარმატებაა, აბა რა არის?

თუმცა, ამჯერად სხვა რამ გვაინტერესებს. იმავე ინტერვიუში, ჩირიკბა სენსაციურ ინფორმაციას ავრცელებს, რომელსაც საქართველოს შესაბამის უწყებაში, როგორც ჩანს და როგორც წესია, მორცხვად ჩქმალავენ: თურმე ნუ იტყვით, ჟენევის ბოლო დისკუსიების დროს, აფხაზურმა დელეგაციამ მწვავედ დასვა სავიზო ბლოკადის მოხსნის საკითხი. ისინი ევროპელებისგან მოითხოვდნენ, პირველ ეტაპზე, თუ არა აფხაზური ან აფხაზეთში გაცემული რუსული პასპორტების, მაშინ ე.წ. „სასიცოცხლო ციკლის დოკუმენტთა“ აღიარებას: დაბადების მოწმობების, გარდაცვალების მოწმობების და ასე შემდეგ.

იციან, რა უნდა მოითხოვონ: კარგი დიპლომატი ისაა, ვინც ზუსტად „წონის“ თავის რესურსებს და ოსტატურად თამაშობს პარტნიორთა ინტერესებზეც. საქმე ის გახლავთ, რომ ხსენებული „სასიცოცხლო ციკლი“ ევროპული ჰუმანისტური ცივილიზაციისათვის იმდენად წმინდაა, არ არის გამორიცხული, აქ მიაღწიონ კიდეც. და თუ აქ მიაღწიეს, მერე პასპორტების აღიარებაც აღარ იქნება შორს, ანუ ეშმაკურად „აწვებიან“ იქ, სადაც სისუსტეა და სადაც უარის თქმა საკუთარ ღირებულებათა შეურაცხყოფად აღიქმება.

მაგრამ ყველაზე მთავარი, რაც ჩირიკბამ თქვა, ამჯერად ამერიკელებს ეხება: „სწორედ ჩვენი დაჟინებული მოთხოვნების გამო, ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა ჟენევის შეხვედრისას განაცხადა, რომ, ამიერიდან, ამერიკის მთავრობა ხსნის ყველა შეზღუდვას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მცხოვრებლებისთვის, – ვისაც ამერიკაში მოგზაურობა უნდა – და გასცემს ვიზებს ამ რეგიონებში რუსულ პასპორტთა მფლობელთათვის. თანაც იმ პასპორტებზე, რომლებიც გაცემულია აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში რუსეთის საელჩოების მიერ“

თუ სიმართლეა, ეს იცით რას ნიშნავს? ესაა სრული კატასტროფა და „დიპლომატიად“ წოდებული ქართული „დოყლოპატიის“ აბსოლუტური, საბოლოო კრახი!

რა თქმა უნდა, იტყვიან, რომ „ჩირიკბა იტყუება, ამერიკას არანაირი შეზღუდვა არ გაუუქმებია, ხოლო ამერიკის წარმომადგენელს მსგავსი არაფერი უთქვამს ჟენევაშიო“ მაგრამ .. ... ჩირიკბას განცხადებიდან უკვე რამდენიმე დღე გავიდა, თუმცა, ყველა მხარე მრავალმნიშვნელოვნად დუმს.

მაინც ეჭვი მეპარება, ჩირიკბა მთლიანად ცრუობდეს. ყოველ შემთხვევაში, სრულიად უსაფუძვლოდ ის ასეთ რამეს არ იტყოდა, ანუ რაღაც ნამდვილად მოხდა ბოლო „ჟენევაზე“ ისეთი, რასაც გვიმალავენ და არ გვეუბნებიან.

თუ ეს სიმართლეა, გამოდის, რომ საქართველოს მიმართ ამერიკის პოლიტიკა კარდინალურად იცვლება: ვაშინგტონი და მისი ევროპელი მოკავშირეები დღემდე უარს აცხადებენ გასცენ ვიზები ყირიმში მცხოვრებ რუსეთის მოქალაქეებზე, რადგან ეს ძალზე მნიშვნელოვანი აქტი იქნებოდა რუსული ანექსიის დე ფაქტო და დე იურე აღიარების თვალსაზრისით. საქართველოს მიმართ კი ეს თურმე უკვე ხდება. რატომ?

რა თქმა უნდა, ყველაზე საინტერესო კითხვა სწორედ ესაა – რატომ?

პირველ რიგში, ალბათ, ამერიკის ელჩ ნორლანდს უნდა ვკითხოთ „რა ხდება“: ათას ჩვენს შიდაპოლიტიკურ სისულელეზე აკეთებს ხოლმე კომენტარს რეგულარულად და ამ საკითხზე რატომ არ უნდა გააკეთოს?

ოღონდ, ქართველი ჟურნალისტების პროფესიონალიზმზეა დამოკიდებული, რამდენად მისცემენ საშუალებას ამ „ბებერ დიპლომატ მგელს“, კონკრეტული პასუხისაგან თავი დაიძვრინოს და გაიმეოროს ბრტყელ-ბრტყელი ფრაზები „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ურყევი მხარდაჭერის“ შესახებ

„არა, თქვენო აღმატებულებავ, ამას კი არ გეკითხებით, გთხოვთ, კონკრეტულად გვიპასუხოთ, თქვა თუ არა ამერიკის წარმომადგენელმა ჟენევაში მსგავსი რამ და თუ თქვა, რატომ?“

იმავე კითხვის დასმა ჟენევის დისკუსიათა ქართველი მონაწილეებისათვის უაზრობაა, რაკი, ჯერ ერთი, მაინც არ დაადასტურებენ (ქართული „დოყლოპატიის“ უნიათობის მეტისმეტად აშკარა წარმოჩენა იქნებოდა) და, გარდა ამისა, ქართველების თანდასწრებით, შესაძლოა, არც თქმულიყო: ჟენევის „გენიალური“ ფორმატი ქმნის საშუალებას, სხვადასხვა მხარე, ვისკით ან აფხაზური ღვინით სავსე ჭიქით ხელში შეიკრიბოს დიპლომატიურ ბუდუარებში და რაზეც უნდა იმაზე ისაუბრონ. ვერც შეედავები: იქ ხომ ყველა მონაწილე თანასწორია და „ექსპერტის“ სტატუსითაა ჩასული?

და მაინც, რითაა ვაშინგტონი უკმაყოფილო? ან რით შეიძლება იყოს (!) უკმაყოფილო? იქნებ იმით, რომ საქართველო ბოლომდე არ შეუერთდა ანტიირანულ სანქციებს? მაშინ, გამოდის, ჩვენი ამერიკელი მეგობრები და მოკავშირეები, რუსების მსგავსად, აფხაზეთთან დაკავშირებით სიტუაციის კიდევ უფრო დამძიმების მუქარასა და შანტაჟს იყენებენ, რათა გამოგლიჯონ თბილისს მათთვის სასარგებლო გადაწყვეტილებები?!

ამ მდგომარეობაში აღმოჩენის გამო კი, დიდი მადლობა, ზოგადად, ქართულ პოლიტელიტას, რომლის ბოლო 25 წლიანმა უსუსურმა და სწორხაზოვანმა „საგარეო პოლიტიკამ“ მიგვიყვანა სწორედ ამ მდგომარეობამდე, როცა უკეთესი არჩევანი ქვეყანას მართლა აღარ დარჩა – არსებობს მხოლოდ არჩევანი „ცუდსა და უარესს შორის“.

მიხეილ გეწაძე

შენცა, ბრუტუს?!

როდესაც მშობლიურ სამეგრელოში ირაკლი ალასანიამ პროკურორ ახალაიასთან არჩევნები პირწმინდად წააგო, ამან მაშინ ბევრი კითხვა გააჩინა.

ვინც იყვნენ ახალაიები, ვინ ვინ და, ზუგდიდელებმა ხომ იცოდნენ!

არადა, როდესაც ბატონი ბიძინა ივანიშვილი სამეგრელოს გულში ჩაბრძანდა, იქ რა ზეიმი იყო, ლამის გამარჯვების ტოლფასი თავყრილობა! ეს ვის არ ახსოვს. ისიც იმ დროს, როდესაც მიშა სააკოვის ნაცრეჟიმი დუღდა და გადმოდუღდა.

არა და არა, სამეგრელო არ შეეპუა ქვეყნის მაოხართ, მაგრამ...

და ახლა, როდესაც ალასანიას „უპრაგნოდ“ დაატოვებინეს თავდაცვის მინისტრის პოსტი, ბევრ დაფარულს მოუფინა ნათელი.

„მე ვიცი ვისი გორისა ვარო“, — გაცეცხლებულმა რომ წამოიძახა ირაკლიმ, მაშინ მეც შევშფოთდი. დიდი ჟიული შარტავას თანამებრძოლის, მასთან ერთად სამშობლოსთვის გმირულად დაცემული მამის შვილზე ეჭვის მიტანა, მართლაც რომ, ძნელია-მეთქი... მაგრამ...

დღეს რომ ირაკლის მამა ცოცხალი იყოს, ალბათ, ხევისბერობა (ხევისბერ გოჩას ვგულისხმობ) მოუწევდა...



არადა, ძალიან მენანება ჩემი სამეგრელო, ქუჯის, წათე პირველის, დიდი ცოტნე დადიანის, და აგერ ჩვენი საუკუნისთვის უჩვეულოდ ზღაპრული გმირის ნეტარი ჟიული შარტავას ოდაბადე (სამშობლო), კუთხე ბოკერიების, უგულავების, ახალაიების ბანდისთვის, აგერ კიდევ მელია, უფრო ტურა, როგორც ვითომ ნაცების ახალმა ლიდერმა ბრძანა, მათთვის ახალი სახე, ვაშა მელიავ, ალბათ, რაღაც სახრავს მიაგნო. პლუს მიშა წყეულის დედა ალასანიასთან კიდევ ალასანია, სხვანი და სხვანი. ნამდვილად უბედურებაა. ჰოდა, მათთან ირაკლი ალასანიას მიმატება ნამდვილად გულს მიღადრავს, საბოლოო განჩენი სასამართლომ უნდა გამოიტანოს, მაგრამ ნათქვამია, კვამლი უცეცხლოდ არ არისო.

ღმერთმა ქნას, სასიკეთოდ შეტრიალდეს ყველაფერი!

პოეტისა არ იყოს, საქართველოს ვინ მისცა შვილი დასაკარგავი.

კუთხე კი, ეს სიტყვამ მოიტანა, ლირიკული გადახვევისთვის, თორემ გვარი რისი მაქნისია!

თუნდაც აი, ვაშაძე! ოდესღაც, ალბათ, გამორჩეულ კაცს, მამულისთვის თავდადებულს, ეს აღმატებული გვარი მიებოძა, დღეს ასე თუ დაკნინდებოდა, ალბათ, ვერ წარმოიდგენდა მისი მოდგმა. ანდა გაბაშვილები, მამა-შვილი ზვიადის წინააღმდეგ ავტომატებით რომ იბრძოდნენ, არც დღეს თმობენ ქვეყნის ძირგამომათხრელობას, მაჭავარიანები, კუბლაშვილები... ეგ ჯაფარიძე ხომ არის და არის, ლაპარაკობს, ლაპარაკობს, ამ დროს სახე ყინულივით აქვს, თვალები — ერთ წერტილს მიშტერებული... და კიდევ აშარი დედაკაცები თაქთაქიშვილნი, გოგორიშვილნი, და კიდევ დიდი შენაძენი ირმა ნადირაშვილი, ნაჟურნალისტალი და ასე გათავხედებული.

ან რა მრჯის, რომ მათ გვარებს ვითვლი, განა ხალხმა არ იცის, ეგენი ვინ არიან, სამშობლოს ვინ მტრობს, ვინ უთხრის ძირს და ვინ უბიძგებს ქვეყანას ისევ ძმათა სისხლის დასაღვრელად?!

ბატების პარადი არ შედგა

ახლახან „რუსთავი-2“-ისა და სხვა ტელევიზიების ეკრანებიდან ვნახეთ, სახეცვლილი, უფრო ფერცვლილი ნაციონალები, თეთრ პერანგებში „არა — ანექსიას“ წარწერით, ზურგზე პიჯაკგადაგდებულნი ბატებივით როგორ შელაგდნენ ქუთაისურ პარლამენტში.

გამახსენდა ბავშვობა, ეზოების ჭიშკრებიდან გამოდენილი ბატები, მკერდგამობერილნი რომ დაუყვებოდნენ სოფლის შარას მდინარისაკენ.

იმ ხანად სააკაანთ ბიჭები 15 ნოემბრისთვის ემზადებოდნენ. რა არ სცადეს, რა არ იხრიკავეს, გენმდივანიც კი გამოუცვლიათ თურმე. მაჭავარიანი — ეს შებერტყილი ლიდერი — განზე მოისროლეს და უსახური ჯაფარიძე წამოქაჩეს, რომ ეთქვათ, პარტიაში ცვლილება მოხდაო. ვითომ გვაბრიყვებენ, მელია აღმოვაჩინეთო, ვაი მათ პატრონს! ტყავში ძვრებიან, ოღონდ რაღაც გააჩალიჩონ, ბრიყვები და უტვინოები ისევ გაბრიყვონ, თორემ საღად მოაზროვნენი მათ ხაფანგში რომ არ გაებმებიან, ეს კარგად იციან.

ბევრიც მოისყიდეს, ფული ოხრად დახარჯეს.

აბა რას იზამდნენ, ოღონდ თავი გადაირჩინონ, ის ფული კი ისედაც ნაძარცვ-ნაალაფარია, მარტო რუსთავში 41 ქარხანა და ფაბრიკა ჯართად აქციეს, მილიონებად ღირებული მოწყობილობები გაყიდეს და ფულით ჯიბეები გამოიტენეს.

ბევრი ლოზუნგმა მოატყუა — „არა — აგრესიასო“. აფხაზეთიდან და ცხინვალიდან ლტოლვილთ, დაბეჩავებულთ, ნაწამებთ, თავიანთ კუთხე-კერამონატრებულთ ეგონათ, რაღაც სასიკეთო კეთდებოდა.

უკრაინიდან მიშა გამოეცხადათ ტელეეთერით — ასი ათასიო, უთვალავი ხალხი მოზღვავდაო.

ჰოდა, თავიანთ ნაპრეზიდენტალთან ერთად, უფრო მის აჩრდილთან, იყიყინეს, იყიყინეს და...

ბატს მეტი რა მოეთხოვება!

აკი ვთქვი, ოჯახში მრავლად გვყავდა, მეზობლებსაც ბლომად დაუდიოდათ, მაგრამ მის ხორცს არ ვჭამდით.

ბატები ბანძელ ებრაელებს უყვარდათ, ბაბუაჩემსა და მეზობლებსაც ცოცხლად მიჰყავდათ ებრაელთა სასულიერო დღესასწაულის დღეებში, რა თქმა უნდა, ყიდდნენ.

იყო არაბეთის როსტევან...

ახლახან ერთ ახლობელთან სუფრაზე მოვხვდი. დიდი დღესასწეული ჰქონდათ — ბავშვის დაბადების დღე. სტუმართმრავლობა არ იყო და მაინც ერთმა უცნობმა, საკმაოდ მშვენიერმა ქალბატონმა, ორი ბიჭის დედამ მიიპყრო ჩემი ყურადღება.

— ყოჩაღ, ეს რა ვაჟკაცები გიჩუქნია მამულისთვის-მეთქი, შევაქე, მერე ბიჭების გვარი ვიკითხე.

საოცრად არაქართული გვარი მითხრა, დავიბენი, შემატყო და უმალ ამიხსნა — ქმარი არაბი მყავსო, რუსეთში არაბები ხომ მომრავლდნენო და...

— რა მექნა, ქართველი კაცი ჩემთვის დაილია, მე კი ოჯახი მინდოდაო, — განმიმარტა.

მეგონა, გულის მთავარი ძარღვი ჩამწყდა, ნუგეშს ვეძებდი. — უფროსი ბიჭი ქართულ სკოლაში სწავლობს, უმცროსი ბაღში დადის, მაგრამ მათი არაბი ქმარი ხელშეკრულებით დათქმული ვადის გავლის შემდეგ თავისთან წაგვასხამსო, — ესეც დამიმალა...

შარშან, ვგონებ უფრო შარშანწინ, რომელიღაც გაზეთში რუბრიკით „უკომენტარო“ — ინფორმაცია წავიკითხე სათაურით „უცხოელზე გათხოვილი საქართველო“. ჩვევა მაქვს, ჩემთვის საყურადღებო ნაწერს ამოვჭრი ხოლმე გაზეთიდან და ვინახავ. ახლა მოვიძიე ის ინფორმაცია:

„სამოქალაქო რეესტრის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2011 წლის განმავლობაში სულ 1347 ქართველმა ქალმა იქორწინა უცხოელზე, აქედან რუსეთში გათხოვდა 548, 189 — საბერძნეთში, 172 — თურქეთში, 56 — გერმანიაში, 28 — სომხეთში, ამდენივე — დიდ ბრიტანეთში, 27-27 — აზერბაიჯანსა და ისრაელში, 22 — ინდოეთში, 20 — იტალიაში, 18 — უკრაინაში და ასე შემდეგ.

ვიმეორებ, ეს მხოლოდ 2011 წლის მონაცემია. მანამდე და მას შემდეგ, ამ ერთი წლის მაგალითით თუ ვიმსჯელებთ, ღმერთმა უწყის, რა მოხდა. ერთი კი ფაქტია — „გათხოვდა საქართველო“ დიახ, გათხოვდა, მათ შორის ჩემი დეიდაშვილები, გვარად ქართველიშვილები, და-ძმანი არიან, ბიჭმა გერმანელზე იქორწინა, ქალი ბიზნესმენია, .გოგო პორტუგალიელს გაჰყვა, ერთხელ კი ჩამოვიდა, შვილთან ერთად და...

ხალხნო, ეს რა ხდება, ამ ნაცბანდელებისგან ერთხელ მაინც თუ გსმენიათ — მამული, სამშობლო, ქვეყანა ვიხსნათ, გადავარჩინოთო.

მაგრამ ეგენი ხომ ბატები არიან, ყიყინებენ და ყიყინებენ ყველაფერზე, ოღონდ საკენკი არ მოაკლდეთ და...

„ოცნება“ კი აკეთებს გასაკეთებელს, დემოგრაფიის ფონდი შექმნა, წამოწყება კარგია, მაგრამ აცლიან კი!

თუმცა, სხვა რამეც არის სათქმელი: ბატონ ზურაბს უბრძანებია, ტყემალაძეს, პენსია მე კი არ უნდა გამწვდეს, მე უნდა გავწვდე პენსიასო. გენიალურია, ალბათ, „ვეფხისტყაოსანს“ აფორიზმად დამშვენდებოდა-მეთქი, გამიელვა და ერთი ფაქტიც გამახსენდა, არცთუ ისე დიდი ხნის წინანდელი: აწ უკვე ნეტარხსენებულმა ერთმა ქალბატონმა, იმ ხანად ქვეყნის პირველმა ლედიმ ბრძანა, კარგი დიასახლისი ამ პენსიას თვიდან თვემდე გაიწვდენსო.

ის პენსია კი იმდენად სასაცილო იყო, მის რაოდენობას ვერ გავამხელ, ამიტომაც ამას დიდი ხმაურიც მოჰყვა.

საქმის არსს უფრო ღრმად რომ ჩავწვდი, მივხვდი, საბოლოოდ დათა თუთაშხია დარჩა დაყაჩაღებული.

ისე ბატონ ზურაბ ტყემალაძეს ხმა კი აქვს დაწვრილებული, თორემ ფიზიკურად ლომსაც შეშურდებოდა მისი აღნაგობა.

იმაზედაც თავს დავდებ, მარტო სადილად ორმოცდაათი ლარის კერძები არ ეყოფა, საუზმე-ვახშამზე რომ არაფერი ვთქვა.

დაკვირვებამ იქამდე მიმიყვანა, რომ, რაც დრო გადის, ეგ ზოგიერთი მეოცნებე და მათი მიმხრობნი სულ უფრო ემსგავსებიან „ნეტარხსენებულ“ ნაციონალებს.

ნეტავი, ერთი ფესვი ხომ არ ჰკვებავთ?

გივი ჯახუა.

P. S. ქართველ ბრძენკაცს უთქვამს, მკვდარზე ან კარგი უნდა თქვა, ან არაფერიო.

მე არაფერს ვამბობ, მის სახელს არც ვახსენებ. ეგ კია, უკრაინელებისა დიდად შემშურდა, ბედი ჰქონიათ.

არადა, ის კაცი, მათს პრეზიდენტს პოროშენკოს ეკონომიკის დარგის მრჩევლად რომ ჰყოლია, რომ ეცოცხლა, აოხრებული და გაყიდული საქართველო მონაგონი იქნებოდა.

ქრისტიანი ვარ. ნათელში ამყოფოს. ისე სიტყვის კაცი აღმოჩნდა, საქართველოში რომ ჩამოვიდა, განაცხადა, სინდისს გარდა ყველაფერი უნდა გავყიდოთო, თქვა და აღასრულა.

მერე აღმოჩნდა, სინდისი თვითონ არც კი ჰქონია. სამაგიეროდ, ჩვენი გაგვიყიდა ყველაფერთან ერთად.

გ. ჯ.

◎ ალიანჩალიანი

„ვეცდები, დავბრუნდე ჯანმრთელად და დამხვდით ჯანმრთელები...“

— ამ სიტყვებით საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი კოლეგებს რამდენიმე დღით დაემშვიდობა.

როგორც უსუფაშვილმა ბიუროს წევრებს აცნობა, დღეიდან პარლამენტის მუშაობას პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე გაუძღვება და თავად კი საპარლამენტო საქმიანობას მომავალი კვირის ბოლოს დაუბრუნდება.

როგორც „ინტერპრესნიუსმა“ გაარკვია, პარლამენტის თავმჯდომარე სამედიცინო გამოკვლევების ჩატარების მიზნით რამდენიმე დღით ლიტვაში მიემგზავრება.

მკურნალობის მსურველთა რაოდენობა გაოთხმაგდა

2012 წელთან შედარებით, ცხინვალის რეგიონიდან მკურნალობის მსურველთა რაოდენობა გაოთხმაგდა, - ამის შესახებ სახელმწიფო მინისტრმა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში პაატა ზაქარეიშვილმა გუშინ „ღია მმართველობის“ ფარგლებში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

„საქართველოს მთავრობის სამშვიდობო პოლიტიკის წყალობით, შემცირდა ინციდენტების რაოდენობა გალის რაიონში და დაძაბულობის კერები საოკუპაციო ხაზის გასწვრივ. სახელმწიფოს ღია პოლიტიკის შედეგად გაჩნდა გადაადგილების ზრდის პოზიტიური ტენდენცია, განსაკუთრებით ოკუპირებული ცხინვალის რეგიონიდან დანარჩენი საქართველოს მიმართულებით. მაგალითისთვის, სამედიცინო დახმარების მსურველთა რიცხვი ზემოხსენებული რეგიონიდან გაოთხმაგდა. უფასო ჯანდაცვის მომსახურება ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობისთვის, ისევე, როგორც განათლების შესაძლებლობები საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე, მთავრობის ჩართულობის პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია, რაც ბოლო ორი წლის განმავლობაში წარმატებით ხორციელდება“, — აღნიშნა ზაქარეიშვილმა.

საცობები — ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა...

— საცობები ზოგადად ქალაქში გამოწვეულია ავტომანქანების მკვეთრი ზრდით. შესაბამისად, ქალაქის ცენტრალურ ნაწილში ბოლო წლებში მიმდინარე აქტიური მშენებლობების ფონზე მოსახლეობის რიცხოვნობა იზრდება და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა ვერ ატარებს ნაკადებს, — აცხადებს დავით ნარმანია.

მისივე თქმით, აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით უახლოეს მომავალში იგეგმება საკოორდინაციო შეხვედრა, სადაც სხვადასხვა უწყებების წარმომადგენლებისგან არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას მოისმენენ.

— დაგეგმილი გვაქვს პუშკინზე ესტაკადის მშენებლობა, სანაპიროს გაფართოება ლაგუნა ვერესთან და სხვა რამდენიმე პროექტი, რაც არის ნაბიჯი საცობების შემცირებისკენ. ასევე ვსწავლობთ მუნიციპალური ტრანსპორტის ნაკადებს და ნაკადი სხვანაირად იქნება გადალაგებული, რაც გარკვეულ შვებას მოგვცემს. თუმცა, საცობები ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა და მხოლოდ ცალკეული საინჟინრო გადაწყვეტილებებით ეს საკითხი ვერ მოგვარდება. ერთ უბანში შეიძლება მოვაგვაროთ, მაგრამ სადღაც აუცილებლად გაჩნდება ძაბრი, სადაც დაგროვდება ავტომანქანები და იქნება საცობი, ამიტომ ეს ძალიან კომპლექსური საკითხია, — განაცხადა ნარმანიამ.

ინტერპრესი

მილსადენების „ჰარმონიზაცია“

ნინო ბურჯანაძის საინტერესო მოსაზრება

4 დეკემბერს რუსეთის ფედერალური კრებისადმი მიმართვაში პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა, დასავლური სანქციების გამო გართულებული საფინანსო პრობლემების ფონზე, აღიარა თავისი ფავორიტი პროექტის – „სამხრეთის ნაკადის“ შეჩერება. მანამდე, მან შეხვედრები გამართა აზერბაიჯანისა და თურქეთის პრეზიდენტებთან და უკრაინის გვერდის ამქცევ ახალ მარშრუტებზე იმსჯელა.

პუტინის მიმართვა ფედერალური კრებისადმი დასავლეთის ანტირუსული სანქციების წარმატების აღიარებაა.

ზოგიერთმა უცხოელმა ექსპერტმა რუსეთის მხრივ „სამხრეთის ნაკადზე“ უარის თქმა „ბრწყინვალე ნაბიჯად“ მონათლა, ხოლო ზოგმა მას ანტი-რუსული სანქციების ქმედითი შედეგი უწოდა.

ნინო ბურჯანაძემ აღნიშნული მოვლენები განიხილა თავის სატელევიზიო გამოსვლაში. მან მიუთითა იმ მთავარ გზავნილებზე, რომლებიც რუს პრეზიდენტის მიმართვაში გაჟღერდა: ყირიმის „საკრალურობა“, დასავლეთთან დიალოგი და ეკონომიკის ლიბერალიზაცია. ამასთან, მან აქცენტი დასავლეთთან „ჩაშლილ“ დიალოგზე გააკეთა.

აშკარაა, რომ „სამხრეთის ნაკადის“ შეჩერების წინ, „სამხრეთის გაზის დერეფნის“ ორი ძირითადი მოთამაშის – კასპიური აირის მიმწოდებელი აზერბაიჯანისა და ტრანზიტორი თურქეთის მეთაურებთან პუტინის შეხვედრა, მიზნად ისახავდა „სამხრეთის ნაკადის“ შემცვლელი მარშრუტის ძებნას. სწორედ ამ ფაქტს უკავშირდება ქალბატონი ნინო ბურჯანაძის მოწოდება, რომ ახლა დადგა ის დრო, როდესაც საქართველომ კრემლს თავის ტერიტორიაზე რუსული გაზის გატარება უნდა შესთავაზოს: „მივმართავ მთავრობას: გამოიყენოს ეს ისტორიული შანსი და შესთავაზოს რუსეთს და თურქეთს საქართველოს ტერიტორიაზე გაზსადენის გაყვანა. ეს კიდევ უფრო გაზრდის საქართველოს სტრატეგიულ მნიშვნელობას, მათ შორის, ევროპაშიც. მოიტანს სერიოზულ პოზიტიურ ეკონომიკურ ძვრებს და, რაც მთავარია, გაამყარებს ქვეყნის სტაბილურობას. ეს პროექტი, ქვეყნის ჭკვიანი მმართველის პირობებში, ჩვენი სამშობლოს უმნიშვნელოვანესი პრობლემების მოგვარების სერიოზული შესაძლებლობა გახდება“, – აღნიშნავს ნინო ბურჯანაძე.

ქალბატონი ნინო გულისხმობს, რომ რუსეთის ხელისუფლებაში უძლიერესი ენერგეტიკული ლობის არსებობა არის ამ პროექტის წარმატების საწინდარი. სანაცვლოდ, საქართველოს საშუალება ექნება, რუსეთი მნიშვნელოვან პოლიტიკურ დათმობებზე დაიყოლიოს.

რა მარშრუტით შეიძლება რუსული გაზის ტრანსპორტირება?

რუსეთის მიერ 2014 წლის მარტში ყირიმის ანექსიის და ნოემბრის ბოლოს აფხაზეთთან ე. წ. მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შეთანხმების გაფორმების შედეგად კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა ევროკავშირის „სამხრეთის გაზის დერეფნის“ პროექტები. კერძოდ ისინი, რომლებიც საქართველოს ტერიტორიის ტრანზიტისათვის გამოყენებას გულისხმობენ. ამ „დერეფანს“ დასავლეთი უნდა „ერთ მუშტად შეეკრა“ და ის რუსულ ენერგომატარებლებზე საბედისწერო დამოკიდებულებისაგან ეხსნა, მაგრამ რუსეთის მიერ ყირიმის და აფხაზეთის ფაქტობრივი ანექსიით საფრთხე დღეს სწორედ „დერეფანს“ შეექმნა.

საქმე ის არის, რომ შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე გაეროს წევრი სახელმწიფოები მიერთებულნი არიან გაეროს 1982 წლის „საზღვაო კონვენციას“, რომლითაც დადგენილია 12 საზღვაომილიანი ტერიტორიული წყლები და 200-მილიანი განსაკუთრებული საზღვაო ეკონომიკური ზონები. შავი ზღვის წაგრძელებული გეომეტრიის გამო, მისი ჩრდილოეთ-სამხრეთის ნაპირები ჯამში 400 მილს ვერ აღწევს. ამიტომ, ამ ზღვაზე განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონად არა 200 მილი, არამედ ქვეყნებს შორის თანაბრად დაშორებული ხაზი, ანუ „მოდიფიცირებული მედიანა“ ითვლება და ზღვას ე.წ. ნეიტრალური წყლები არ გააჩნია.

ყირიმისა და აფხაზეთის ანექსიამდე უკრაინასა და თურქეთს განსაკუთრებული ზონების ყველაზე დიდი სეგმენტები ჰქონდათ. სწორედ ამის გამო, უკრაინის გვერდის ამქცევი რუსული „სამხრეთის ნაკადის“ ნოვოროსიისკი-ვარნას საზღვაო სექციის გასაყვანად რუსეთი, მთელი რიგი დათმობების ფასად, თურქეთს 2009 წელს შეუთანხმდა.

ყირიმისა და აფხაზეთის ანექსიის შედეგად, ბუნებრივია, მარშრუტის ასეთი ცვლილება აღარ იქნება აუცილებელი იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ შავ ზღვაში საზღვაო განსაკუთრებული ზონა უკრაინას ყირიმის სამხრეთით, და საქართველოს აფხაზეთის სანაპიროსთან, უბრალოდ აღარ ექნებათ.

რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, ევროპის ენერგობაზარზე რუსეთი თავის „ენერგეტიკულ იარაღს“, საქართველოში შემოჭრაზე კრიტიკის შესამცირებლად იყენებდა. ამიტომ, 2008 წლის ნოემბერში ბრიუსელმა „ევროკავშირის მეორე ენერგორევიუ – ენერგოუსაფრთხოებისა და სოლიდარობის სამოქმედო გეგმა“ დაამტკიცა. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ იქმნება ევროკავშირის წევრი ქვეყნების ურთიერთდაკავშირებული მილსადენების სისტემა, ე.წ. „ტრანსევროპული ქსელი“ (TEN). ამავე დროს, განისაზღვრა წევრი ქვეყნების „თამაშის საერთო წესები“ ენერგოპროექტების ირგვლივ მესამე მხარესთან მოლაპარაკებებში, ანუ შეიქმნა „საერთი ინტერესების პროექტების“ (PCI) ისეთი მექანიზმი, რომელიც წევრ ქვეყნებს ბრიუსელთან შეუთანხმებლად უკრძალავს ენერგომომარაგებისა და ტრანზიტის ხელშეკრულებების გაფორმებას.

ამის შემდეგ, 2009 წლის 8 მაისს ევროკავშირის პრაღის სამიტზე, მიიღეს ისტორიული დოკუმენტი „სამხრეთის დერეფანი – ახალი აბრეშუმის გზა“, რომელშიც კასპიისპირეთისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან ერთად, საქართველოც მოიაზრება. ამ დოკუმენტით განისაზღვრა ოთხი სტრატეგიული პროექტი: „ნაბუქო“, „ინტერკონექტორი თურქეთი-საბერძნეთი-იტალია“ (ITGI), „ტრანსადრიატიული გაზსადენი“ (TAP) და “თეთრი ნაკადი“ (White Stream).

ეს უკანასკნელი პროექტი დაზარალდა ყველაზე მეტად ყირიმისა და აფხაზეთის ანექსიის შედეგად, რადგან ის საქართველო-უკრაინა (ყირიმი)-რუმინეთის მარშრუტს გულისხმობს და ევროკავშირისთვისაც, სხვა პროექტებთან შედარებით, უფრო მომგებიანია.

„დერეფნის“ დარჩენილი სამივე პროექტი გულისხმობს „შაჰდენიზის“ გაზის საქართველოზე გამავალი „სამხრეთკავკასიური გაზსადენით“ (SCP) და თურქეთის ტერიტორიაზე დაპროექტებული „ტრანსანატოლიური გაზსადენით“, TANAP-ით ევროპაში ტრანზიტს.

როგორია ჰარმონიზაციის „გაკვეთილები“ საქართველოსთვის?

XX ს. ბოლოდან კასპიისპირეთში ენერგომატარებლების ფართომასშტაბიანმა მოპოვებამ და ტრანზიტმა: ა) ერთი მხრივ, უზრუნველყო საქართველოსა და აზერბაიჯანის ეკონომიკური და ფინანსური უსაფრთხოება; ბ) მაგრამ, მეორეს მხრივ, სტაბილური ექსპორტისათვის, განსაკუთრებით 2008 წლის რფ-საქართველოს ომის შემდეგ, საჭირო გახდა ამ ქვეყნების სამხედრო და სატრანსპორტო-საკომუნიკაციო უსაფრთხოების უზრუნველყოფა. დღეს ეს საკითხი ისევ აქტუალურია.

ექსპერტები, 2008–2009 წლების ევროზონის ფინანსური პრობლემების ფონზე არ გამორიცხავდნენ, „დერეფნის“ პროექტების გაიაფების მიზნით, მათ სხვადასხვა ფორმით ტრანსფორმაციას.

ერთ-ერთი ასეთი ტრანსფორმაციული იდეაა ევროპული და რუსული გაზსადენების გაერთიანება ფინანსური უზრუნველყოფის გასაუმჯობესებლად. ეს საკითხი პირველად 2010 წლის დასაწყისში დაისვა. 2011 წლის 10 იანვარს, ის კვლავ წამოჭრა აშშ-ს ელჩმა იტალიაში დ. ტორნმა.

გარდაბანი – რუსულ-აზერბაიჯანული ბუნებრივი აირის „ჰაბი“

დღევანდელ პირობებში ადგილი, სადაც რუსეთისა და კასპიისპირეთის გაზის დასავლური მარშრუტები იკვეთება, არის საქართველო. კერძოდ, საქართველოში გადის „ჩრდილოეთ-სამხრეთის მაგისტრალური გაზსადენი“, რომელიც რუსეთის ქ. მოზდოკიდან საქართველოს ტერიტორიით სომხეთს უკავშირდება. ის გარდაბანსა და ჯანდარას შორის კვეთს „სამხრეთ კავკასიურ გაზსადენს“ (SCP), რომლითაც ამჟამად „შაჰ-დენიზის“ პირველი სტადიის გაზი არა მარტო თურქეთს, არამედ მისი გაზის ქსელით, ევროკავშირის წევრ ქვეყანას, – საბერძნეთსაც მიეწოდება. SCP გაზსადენიდან საქართველო, სატრანზიტო მოსაკრებლის სახით, გატარებული გაზის 5%-ს იღებს უფასოდ, 5%-ს – შეღავათიან ფასად.

„მაგისტრალური გაზსადენი“, ორი დაწყვილებული მილისგან შედგება, – ძირითადი მილის დიამეტრია 1200 მმ, ხოლო სათადარიგოსი, – 700 მმ. დღეს ამ გაზსადენის ძირითადი მილით გაზი სომხეთს მიეწოდება, ვინაიდან საქართველო 2007 წლიდან „შაჰ-დენიზი 1“-ის გაზით მარაგდება.

სსრკ-ის დაშლის შემდეგ, ეს გაზსადენი, საპროექტო სიმძლავრესთან შედარებით (წლიურად 18 მლრდ კუბმეტრი), გაცილებით ნაკლები დატვირთვით (1.93-1.44 მლრდ კუბმეტრი) მუშაობს. თუმცა, საბჭოთა პერიოდშიც, მისი დატვირთვა არ აჭარბებდა წლიურად 9.5 მლრდ კუბმეტრს. ამჟამად, „მაგისტრალური გაზსადენიდან“ ტრანზიტის საფასურად „საქართველოს გაზისა და ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია“ იღებს გატარებული რუსული გაზის 10%-ს, რაც 2008-2011 წლებში 193-144 მლნ კუბმეტრის ფარგლებში მერყეობდა. ეს კი საქართველოს გაზის მოხმარების 11.2-11.0%-ია.

სომხეთის კონტროლის პალატის 2009-10 წწ. ენერგოსისტემის შემოწმების მასალებიდან ირკვევა, რომ სომხეთში იმპორტირებული ირანული გაზის ნაწილი საქართველოსაც მიეწოდება, რის სანაცვლოდაც სომხეთში „ერევნის თბოელექტროსადგური“ საქართველოდან იღებს ელექტროენერგიას თანაფარდობით, – 1 კუბმეტრ ირანულ გაზში 4.5 კვტ/სთ ელექტროენერგია. სომხეთში იგივე ელექტროსადგური 1 კუბმეტრ ირანულ გაზში, რომელიც „არმროსგაზპრომის“ „თავრიზი-მეგრი“ გაზსადენით მიეწოდება, ირანს უბრუნებს 3 კვტ/სთ ელექტროენერგიას. ნათელია, რომ „ერევნის თბოელექტროსადგური“ საქართველოში გატანილსა და ირანიდან მიღებულ გაზის ყოველ კუბმეტრს შორის 1.5 კვტ/სთ ელექტროენერგიის ტოლ სხვაობას იღებს. ამის შედეგია, რომ, თუ 2009 წელს „ერევნის თბოელექტროსადგურმა“ საქართველოში 259 მლნ დრამის გაზი შემოიტანა, უკვე 2010 წელს ეს მაჩვენებელი გაათმაგდა და 2.2 მლრდ დრამი შეადგინა, რამაც სომხეთს საკმაოდ დიდი რაოდენობით ქართული ელექტროენერგია მისცა.

ზემოაღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ „მაგისტრალური გაზსადენის“ ერთ-ერთი მილით საქართველოს ირანული გაზის მცირე რაოდენობა უკვე მიეწოდება. თუ ვთქვათ, ამ გაზსადენის 1200 მმ-იანი მილი ქ. გარდაბანთან SCP-ს დაუკავშირდება, მაშინ ის შესაძლებელია გადაიქცეს რუსული გაზის ერთი ნაწილის, დასავლეთისკენ საექსპორტო ახალ მარშრუტად. ეს გაზი, SCP-ს გავლით, შემდგომში „ნაბუქოთი“ ან „ტრანსადრიატიკით“ (TAP), ანუ „სამხრეთის გაზის დერეფნის“ რომელიმე გაზსადენით, ან „ტრანსანატოლიური გაზსადენით“, თურქეთიდან ევროპაში გაიგზავნება.

მიუხედავად ბრიუსელის წინააღმდეგობისა, სავარაუდოდ, აშშ-ს მხრივ გაზსადენების გაერთიანების იდეის კვლავ წამოწევა, ევროპაში გაზის საექსპორტო პროექტებს შორის კონკურენციის შესუსტებას ისახავს მიზნად. ამ მიზეზით, ეს იდეა ევროკავშირის ფინანსური პრობლემების ფონზე, შესაძლოა, მალე ბრიუსელისთვისაც მიმზიდველი აღმოჩნდეს. ეს ევროპას გაზმომარაგების ალტერნატიული მარშრუტების განხორციელებას გაუადვილებს, ვინაიდან „სამხრეთის გაზის დერეფნის“ განხორციელებით უკვე მოსკოვიც დაინტერესდება და მოიხსნება ამ დერეფნისადმი რუსეთის ანტაგონიზმი. მეტიც, ეს კავშირი რუსულ და ევროპულ პროექტებს ურთიერთშემავსებელს გახდის, რითაც საქართველომაც შეიძლება ნახოს სარგებელი. კერძოდ:

ჯერ ერთი, ამ გზით გაიზრდება საქართველოზე გამავალი რუსული, აზერბაიჯანული და ირანული გაზის ნაკადები. შესაბამისად, მოიმატებს ქვეყანაში უფასოდ და შეღავათიანად დარჩენილი გაზის მოცულობა. ამით შეივსება ნახევრად დაუტვირთავი SCP და „მაგისტრალური“ გაზსადენები, და საქართველოს სატრანზიტო ამონაგები გაიზრდება, ისე რომ დამატებითი ხარჯების გაწევა არც ქვეყნის ბიუჯეტიდან და არც დასავლეთელი დონორების მხრიდან საჭირო არ იქნება, – აუცილებელი გახდება მხოლოდ მილების გადაკვეთაზე – ქ. გარდაბანთან, სოფ. ჯანდარაში ე.წ. ინტერკონექტორის აგება.

მეორე, გაიზრდება ქვეყნის ენერგოუსაფრთხოება, რადგან SCP-სთან მიერთებით რუსეთი დაინტერესდება „მაგისტრალური გაზსადენის“ მაქსიმალურად შევსებით და მისი გამართული მუშაობით, რადგან ეს მილი რუსეთს ახალი მარშრუტით, მაღალი წარმადობის დასავლურ საექსპორტო გაზსადენებთან დაუკავშირებს. ასევე, გაიზრდება დასავლეთის მიერ საქართველოს უსაფრთხო სატრანზიტო დერეფნად გამოყენების ინტერესი, რადგანაც საქართველო გადაიქცევა გაზმომარაგების რეგიონალურ კვანძად.

მესამე, SCP-სა და „მაგისტრალური“ გაზსადენების ურთიერთდაკავშირება ირანისა და სომხეთის ინტერესებსაც დააკმაყოფილებს. ირანის გაზის ექსპორტის ეროვნული კომპანიის დირექტორმა განაცხადა, რომ ირანი აპირებს სამჯერ გაზარდოს გაზის ექსპორტი და მსოფლიო გაზით ვაჭრობაში თავისი წილი 2%-დან 2015 წლისათვის 10%-მდე გაზარდოს. ჩინოვნიკმა ხაზი გაუსვა, რომ ამას თეირანი თავისი გაზის რუსეთში (რომელი მილით, უცნობია?!) და სხვა მეზობელ ქვეყნებში გატანით შეეცდება.

კერძოდ, ზოგიერთი ქართველი სპეციალისტის ნაშრომში მითითებულია, რომ „მაგისტრალური გაზსადენის“ ძირითადი მილი, რომლითაც ის ქ. გარდაბანთან SCP-ს შეუერთდება, შესაძლებელია მეორე ბოლოდან რევერსით, „თავრიზი-მეგრის“ გაზსადენის და სომხეთის გაზის ქსელის გავლით, გახდეს გარდაბნის მომავალ „ჰაბში“ გაზის სამხრეთიდან მიღების საშუალება. თავის დროზე – 2005-2006 წლებში, ამ აზრს, სრულიად სამართლიანად, „მაგისტრალური გაზსადენის“ პრივატიზაციის მოწინააღმდეგეები ავითარებდნენ. ეს იდეა სომხეთისთვის მისაღებია, რადგან ამ გზით ის თავის დიდი ხნის ოცნებას აისრულებს და პანევროპულ პროექტში ჩაერთვება. თანაც ერევანი რუსეთისაგან ალტერნატიული გაზმომარაგების წყაროს და სატრანზიტო მოსაკრებლებს მიიღებს. ამასთან, რუსეთიდან მისი გაზმომარაგება ჩვეულებრივ გაგრძელდება „მაგისტრალური გაზსადენის“ 700 მმ-იანი სათადარიგო მილით, რომლის სიმძლავრე, სომხეთის დღევანდელ მოთხოვნილებას (2011-2013 წწ. წელს ეს მაჩვენებელი საშუალოწლიურად დაახლოებით 2 მლრდ კუბმეტრი იყო) სრულად დააკმაყოფილებს.

ამრიგად, გარდაბნის რუსულ-აზერბაიჯანული ბუნებრივი აირის „ჰაბი“ რეგიონის ყველა ქვეყნის, და არც მთავარია – საქართველოს ინტერესებს დააკმაყოფილებს.

ზურაბ გარაყანიძე,
ეკონომიკის დოქტორი

◎ ავიაბაზარი

თუ უსაფრთხო ფრენა გსურთ...

ევროკავშირთან ასოციირების ხელშეკრულება თანდათანობით ეროვნული ეკონომიკის ყველა სფეროზე იწყებს ასახვას. ამ ჯერზე მხედველობაში გვაქვს „ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ შეთანხმება“, რომელიც საქართველოს ევროკავშირთან ასოციირების ნაწილია და სამოქალაქო ავიაციას ეხება. აღნიშნული შეთანხმება ქვეყნის სამოქალაქო ავიაციის სფეროში ევრორეგულაციების დამკვიდრებას გულისხმობს, რომელიც, უწინარესად, ფრენის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით ადგილობრივი რეგულაციების, ევროკავშირის ქვეყნებში მიღებულ ანალოგიურ სტანდარტებთან ჰარმონიზაციას ითვალისწინებს. სწორედ ესაა იმის მიზეზი, რომ საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ეროვნულმა სააგენტომ, ახალ წლამდე, ახლად შექმნილი ქართული ავიაკომპანიებისგან სერტიფიკატების მიღებაზე განაცხადების მიღება შეაჩერა.

ამჟამად მიმდინარეობს სამამულო, ეგრეთ წოდებული „ექსპლუატაციის სერტიფიკატის“ მფლობელი თერთმეტი ქართული ავიაკომპანიის ხელმეორედ სერტიფიცირების პროცესი, რომლის დასრულების შემდგომ განცხადებების მიღება განახლდება. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო ავიაციის სააგენტომ ორ სამამულო ავიაკომპანიას, კერძოდ „ეირ კაუკაზუსსა“ და „ეი-ჯი-აის“, ასევე ნატახტარის საავიაციო სკოლას ლიცენზიები შეუჩერა, რისი მიზეზი მათი მოღვაწეობის მიღებულ სტანდარტებთან შეუსაბამობა გახდა. უნდა ითქვას, რომ ქართული ავიაკომპანიების რესერტიფიცირების პროცესში აქტიურად მონაწილეობენ ევროკავშირის წევრი ქვეყნების სამოქალაქო ავიაციის მმართველობის მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები, რაც მისი მაღალ დონეზე ჩატარების კარგი წინაპირობაა.

ამასთან დაკავშირებით, ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს განცხადებაში აღნიშნულია, რომ ამ პროცესს როგორც სამამულო, ასევე უცხოური ავიაკომპანიებისთვის, **საქართველოს მიმართულებით განსახორციელებელ ფრენებზე სათანადო ნებართვების მიღებასთან არანაირი კავშირი არა აქვს**. ეს იმით აიხსნება, რომ საერთაშორისო ავიამიმოსვლა კონკრეტული ორმხრივი, აგრეთვე მრავალმხრივი სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულებებით რეგულირდება.

ახალი სამამულო ავიაკომპანიების რესერტიფიცირების პროცესის შეჩერების თაობაზე რაიმე სხვა განმარტებები სამოქალაქო ავიაციის სააგენტოში არ გაკეთებულა. აღინიშნა მხოლოდ ის, რომ „ყველაფერი სახელმწიფოს ინტერესებში კეთდება და ამას დამატებითი ახსნა-განმარტება არ სჭირდება“.

აუცილებლად უნდა ითქვას, რომ, გავრცელებული ინფორმაციით, ახლადდაფუძნებული სამამულო ავიაკომპანიებისთვის სერტიფიცირების მიღების თაობაზე მორატორიუმის დაწესებას ქართულ ავიაბაზარზე არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა. მათი ხელმძღვანელობის ნაწილის აზრით, ეს დროული ნაბიჯია, სხვების აზრით კი, ძალისმიერ ადმინისტრაციულ შეზღუდვას ნეგატიური შედეგი მოჰყვება. კერძოდ, ლაპარაკია იმაზე, რომ ამ გადაწყვეტილებამ, შესაძლოა, გარკვეული ავიაკომპანიების ბაზრის მონოპოლისტებად ჩამოყალიბებას შეუწყოს ხელი, თანაც დარგში უცხოური ინვესტიციების შემოდინება შეაფერხოს, რისი მაგალითი უკვე არსებობს. სხვების აზრით კი, ამ გადაწყვეტილების მართებულობა იმით დასტურდება, **რომ ნებისმიერი ავიაკომპანიის ფლობისათვის აუცილებელია საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული გარკვეული რეგულაციების, ნორმებისა და მოთხოვნების შესრულება, რისი რესურსი ყველას არ გააჩნია.** ბოლო წლებში საქართველოში სამგზავრო ავიაგადაზიდვებზე სერტიფიკატების ყოველგვარი შეზღუდვების გაცემის პრაქტიკამ ის სავალალო შედეგი გამოიღო, რომ სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ, ფრენების უსაფრთხოებისა და ზოგიერთი სხვა პარამეტრით, საქართველო „შავ სიაში“ შეიტანა, ამდენად, მიღებული გადაწყვეტილება სავსებით სამართლიანია, იქნებ დაგვიანებულიც კი.

იგივე პოზიცია აქვს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსაც, სადაც ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ **საქართველომ სამგზავრო ავიაგადაზიდვების უსაფრთხოების სტანდარტები უპირობოდ უნდა დაიცვას და იმასაც აღნიშნავენ, რომ შეზღუდვა დროებითი ხასიათისაა.**

ახალი წლიდან ქართულ ავიაბაზარზე **კიდევ ერთი სიახლე ის იქნება, რომ იქ მკაცრი ფინანსური რეგულაციები ამოქმედდება.** მათი არსი, უწინარესად, ისაა, რომ **სამოქალაქო ავიაგადაზიდვების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ნებისმიერ ავიაკომპანიას სათანადო ფინანსური რესურსები უნდა გააჩნდეს, წინაღმდეგ შემთხვევაში ამის სათანადო დონეზე განხორციელებას ის ვერ შეძლებს, რაც დაუშვებელია.**

ამდენად, მომავალში, ექსპლუატანტის სერტიფიკატის მიღების შემდგომ, მგზავრებისა და ტვირთის გადაზიდვის უფლება არც ერთ ავიაკომპანიაზე იმ დრომდე არ გაიცემა, ვიდრე იგი ოპერირების ლიცენზიას არ წარადგენს. აღნიშნული ლიცენზია კი უკვე ფინანსურ უსაფრთხოებას ითვალისწინებს, რაც იმის დასტური იქნება, რომ კონკრეტულ ავიაკომპანიას მგზავრებისა და პარტნიორების წინაშე ნაკისრი ვალდებულებათა შესრულების სათანადო რესურსი აქვს.

იმ შემთხვევაში კი, თუკი სათანადო შემოწმების შედეგად აღმოჩნდება, რომ ესა თუ ის ავიაკომპანია, ფინანსური რეგულაციებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს, მას ოპერირების ლიცენზია დროებით, მდგომარეობის გამოსწორებამდე შეუჩერდება, ანდა, შესაძლოა, სულაც ჩამოერთვას, თუმცა კი, აღნიშნული მკაცრი ზომები ნაუცბათევად, რომ იტყვიან, „ხელის ერთი დაკვრით“, არ მიიღება.

ოთარ ტურაბელიძე

◎ გამოიცა

ასეთი წიგნი სჭირდება ერს, ახალგაზრდობას

გამოიცა უნიკალური ცნობარის „საქართველოს თავადაზნაურობის“ II წიგნი, რომელიც საქართველოს უძველესი გვარების შთამომავალთა სამშობლოსათვის თავგანწირვას, გვარების ჩამოყალიბების გენეზისს ეძღვნება. იგი ერთგვარი ანალოგია მოსკოვში გასული საუკუნის 80-იან წლებში გამოცემული მრავალტომეულისა „Дворянские Роды Российской Империи“.

ორიოდ სიტყვით მოგახსენებთ პირველ წიგნზე, რომელიც 2010 წელს დაისტამბა. იგი გვაცნობს 35 გვარს: **აბაშიძეებს, ანდრონიკაშვილებს, ამილახვრებს, ამირეჯიბებს, ანჩაბაძეებს, აფაქიძეებს, აფხაზებს, გაბაშვილებს, გურიელებს, დადიანებს, დადიშქელიანებს, ემუხვარებს, ერისთავებს, ლორთქიფანიძეებს, მაჩაბლებს, მიქელაძეებს, ნაკაშიძეებს, ფალავანდიშვილებს, ყიფიანებს, შარვაშიძეებს, ჩოლოყაშვილებს, ფანასკერტელ-ციციშვილებს, წერეთლებს, ჭავჭავაძეებს, ჯავახიშვილებს** და სხვ.



მეორე წიგნი უშუალოდ აგრძელებს პირველს. მასში 19 გვარის ისტორიას და დღევანდელობას ვეცნობით. ესენია: **ავალიშვილები, ახვლედიანები, ბარათაშვილები, თარხან-მოურავები (თარხნიშვილები, მოურავიშვილები), მელიქიშვილები, ფავლენიშვილები, ჩიქოვანები, ჩხეიძეები, ჯაფარიძეები, ხიმშიაშვილები, ჯორჯაძეები, ქართველიშვილები** და ა. შ.

დიდი შრომა გაუწევია წიგნის სარედაქციო კოლეგიას: გურამ ჩიქოვანს, მანანა გაბაშვილს, ზურაბ რატიანს, ლამარა შენგელიას, ია ბაგრატიონ-მუხრანელს (მთ. რედაქტორი). ამ ერთობლივი ნაშრომის მომზადებაში ისტორიკოსებთან ერთად გვარების წარმომადგენლებს, ჟურნალისტებს, ფოტოოსტატებს, მხატვრებსაც მიუღიათ მონაწილეობა. ნაშრომებში წარმოჩენილია თავადაზნაურთა გვარების ისტორია და როლი საქართველოს საზოგადოებრივ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, ის ღვაწლი, რაც ამა თუ იმ საგვარეულოს წარმომადგენლებს მიეძღვით მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში, ნაჩვენებია ის ამაგი, რაც მათ დასდეს საქართველოს, ქართველ ხალხს.

მართალია, ავტორები შეზღუდული იყვნენ ნარკვევთა ფორმატით, მასალის სიმწირით, ამიტომ შეიძლება სრულად ვერ ასახეს საგვარეულოების ჩამოყალიბების პროცესი, მათი ადგილი ქვეყნის ისტორიაში, სახელმწიფოს განმტკიცებაში, მაგრამ, რაც მთავარია, გადმოცემულია მთავარი — უშუალო შეგრძნება ისტორიული პროცესის სიდიადის, ჩვენი ფესვებისა, სიამაყე წინაპართა თავდადების გამო.

გამოყენებული უნიკალური, მდიდარი ფოტომასალა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმებიდან, არქივებიდან, საოჯახო კოლექციებიდან აგრძელებს ნარკვევთა ლაიტმოტივს წინაპართა გენეტიკური კოდის სიძლიერის, სილამაზის, დიდსულოვნებისა და რაინდების შესახებ.

დასტამბულია აგრეთვე ცნობილი მეცნიერისა და პოლიტიკური მოღვაწის **რევაზ გაბაშვილის** ნაშრომი „კავკასიური რასის წვლილი მსოფლიო ცივილიზაციაში“, **მიხეილ ქურდიანის** „ქართული ენა და დამწერლობა“, ბაგრატიონთა ისტორიული ქრონიკების მოზაიკა, **ია ბაგრატიონ-მუხრანელის** ნარკვევი მუხრანბატონებზე, **ვახუშტი ბაგრატიონის** „აწინდელთა მთავართა გვარისათვის“. **ირაკლი კალანდიას** „გულბაათ ჭავჭავაძის შთამომავალნი — მხედართმთავრები, საზოგადო მოღვაწეები“, უაღრესად საინტერესო ისტორიული დოკუმენტები.

დასასრულ მივანიშნებ, რომ, ჩემი აზრით, „საქართველოს თავადაზნაურობა“ იმ ხნულზე ამოიწვერა, რომელიც 2003 წელს მეცნიერებათა ისტორიის საქართველოს საზოგადოებამ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ და „ბაგრატოვანთა სახლმა“ გაავლეს დიდებული ნაშრომით „ბაგრატიონები. სამეცნიერო და კულტურული მემკვიდრეობა“ (სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე — მთავარი რედაქტორი — აკადემიკოსი **როინ მეტრეველი**).

იმედს ვიტოვებთ, რომ „საქართველოს თავადაზნაურობა“ ამ მეორე წიგნით არ ამოწურავს სათქმელს და გარკვეული ხნის შემდეგ ვიხილავთ მის მესამე ნაწილს (მომავალში იქნებ მეოთხესაც?!). ასეთი კრებულები სჭირდება ერს, მის ახალგაზრდობას.

წიგნი ეძღვნება საქართველოს ეკლესიის მესაჭეს, ქართველთა სულიერ მამას, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია II-ს.

აქვე სათქმელად: ამ დღეებში გაიმართა საქართველოს თავადაზნაურთა და მათ თანამდგომთა საკრებულოს ყრილობა. ყრილობამ საკრებულოს თავმჯდომარედ აირჩია **გიორგი თარხან-მოურავი.**

სანდრო ალექსიძე

◎ რაც თვალში გვხვდება

უსირცხვილოდ დაპყრობილი ტროტუარები

არც თუ ისე შორეულ წარსულში, დღევანდლისაგან განსხვავებით, საკმაოდ მკაცრად და ორგანიზებულად მუშაობდა დედაქალაქის ავტოინსპექციის სამმართველო. ლურჯ სპეცტანსაცმელში გამოწყობილი ავტოინსპექციის მუშაკები ძალ-ღონეს არ იშურებდნენ ტრანსპორტის მოძრაობის მოსაწესრიგებლად, რაც მთავარია, მათ მოვალეობაში შედიოდა ფეხით მოსიარულეთა უფლებების დაცვა...

დღევანდელ თბილისში დიდად გაიზარდა სამარშრუტო ტაქსების, პირად მფლობელობაში მყოფ მანქანათა თუ ყვითელი ავტობუსების რაოდენობა, მათი რიცხვი თითქმის მილიონს აჭარბებს. ასეთ კოშმარულ სიტუაციაში, თვალში საცემია გაუთავებელი საცობები, რომლებსაც ქალაქის ნებისმიერ მაგისტრალზე შეხვდებით. სამწუხაროდ, პოლიციის მუშაკთა მცირე რაოდენობა ვერ ახერხებს სრული წესრიგი დაამყაროს ტრანსპორტის ნორმალურ მოძრაობაზე. ხშირია ავტოავარიები, რომლებიც სავალალო შედეგით მთავრდება. გათამამებული მძღოლები, ათასგვარ უწესრიგობებს სჩადიან. უპირველესად, ეს გახლავთ ის, რომ ავტომობილებს იქ აყენებენ, სადაც მოესურვებათ, განსაკუთრებით ტროტუარებზე. კანონის ასეთი დამრღვევი მანქანები ღამეებს „ათევენ“ სკოლების, მაღაზიების, ბანკების წინაც. „არსაიდან ხმა, არსით ძახილიო“, იტყვიან ჩვენში.

ცოცხალი მაგალითი გნებავთ? ფილარმონიის წინ მდებარე 51-ე საჯარო სკოლის წინ ტერიტორიაზე, მოსწავლეთა მშობლებს ათობით მანქანით აქვთ ჩახერგილი მიწისქვეშა გასასვლელი. ტროტუარები ფეხით მოსიარულეებს ეკუთვნით, ეს არახალია და ყველამ კარგად იცის!

შალვა ქირია,
საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი

◎ მულტიკულტურიზმის პოლიტიკა

ყაზახეთი: ეთნოსთაშორისი შეთანხმება

სსრ კავშირის დაშლის შემდეგ პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებში აღინიშნა ეროვნული თვითშეგნების აფეთქება, რასაც ზოგჯერ თან ახლდა არაძირძველი მოსახლეობის გამოდევნა. ერთ-ერთი გამონაკლისი გახდა ყაზახეთი. მიუხედავად იმისა, რომ აქ აღინიშნა მოსახლეობის გადინება, წასულებიდან ბევრი შემდგომ კვლავ დაბრუნდა ყაზახეთში. და ამის მიზეზი გახდა ხელისუფლების პოლიტიკა მულტიკულტურალიზმის აგების შესახებ.

მხოლოდ რამდენიმე წლის წინათ ყაზახეთში ყაზახური ენა გახდა სავალდებულო. დღემდე ქვეყანაში დიდ როლს ასრულებს რუსული ენა, როგორც ერთაშორის ურთიერთობის ენა. და ამავე დროს სასწავლებლების კურსდამთავრებულთა თითქმის 90 პროცენტი ფლობს სახელმწიფო ენას საკმაო დონეზე ურთიერთობისთვის და თანამდებობის დასაკავებლად სახელმწიფო სამსახურში.

მთავრობის პროგრამის თანახმად, 2020 წლისთვის მოსახლეობის 95 პროცენტმა უნდა იცოდეს სახელმწიფო ენა საყოფაცხოვრებო ურთიერთობის დონეზე. ეს კეთდება იმ თვალსაზრისითაც, რომ იქმნება ყველგან უფასო ან მეტად იაფი ცენტრები ენის შესასწავლად.

ამავე დროს ყაზახური კულტურისა და ენის განვითარებასთან ერთად თავისუფალ განვითარებას ღებულობენ სხვა ენები და კულტურები, რომლებიც ქვეყნის მოსახლეობის 140-ზე მეტ ეროვნებას წარმოადგენენ.

ყაზახეთის მცხოვრებთა სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლები წარმოდგენილნი არიან თავისი მნიშვნელობით უნიკალურ ყაზახეთის ხალხის ასამბლეაში. დღეს იგი არის ყაზახეთის რესპუბლიკის პრეზიდენტთან არსებული საკონსულტაციო-სათათბირო ორგანო. ყაზახეთის ხალხის ასამბლეის მთავარი ამოცანაა სახელმწიფო ეროვნული პოლიტიკის რეალიზაცია, ყაზახეთის რესპუბლიკაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა და სახელმწიფო და სამოქალაქო ინსტიტუტების ეფექტიანი ურთიერთმოქმედების ამაღლება ეთნოსთა შორის ურთიერთობების სფეროში.

ასამბლეის მხარდაჭერით ქვეყანაში გაზეთები და ჟურნალები გამოდის 15 ენაზე, რადიოგადაცემები მიმდინარეობს რვა, ტელეგადაცემები კი შვიდ ენებზე. მოქმედებს 88 სკოლა, რომლებშიც სწავლება მთლიანად მიმდინარეობს უზბეკურ, ტაჯიკურ, იუღურისა და უკრაინულ ენებზე. 108 სკოლაში ყაზახეთის 22 ეთნოსის ენები ისწავლება, როგორც დამოუკიდებელი საგანი. გახსნილია 195 სპეციალიზებული ლინგვისტური ცენტრი, სადაც არა მხოლოდ ბავშვები, არამედ მოზრდილებიც სწავლობენ 30 ეთნოსის ენებს. ყაზახური და რუსული თეატრების გარდა, ქვეყანაში მუშაობს კიდევ 4 ეროვნული თეატრი — უზბეკური, იუღურის, კორეული და გერმანული.

ყოველწლიურად ყაზახეთის ეთნოსების ენებზე გამოიცემა რამდენიმე ათეული ახალი წიგნი. ტრადიციული გახდა მასობრივი სახალხო დღესასწაულები — ნაურიზი, პირველი მაისი — ყაზახეთის ხალხთა ერთიანობის დღესასწაული, ყველიერი, საბანტუი და სხვ.

უფრო მეტიც, ყაზახეთის ხალხის ასამბლეის 9 წარმომადგენელი, რომლებსაც განსაზღვრავენ ორგანიზაციები ყრილობაზე, ითვლება მაჟილისის (ქვედა პალატის) დეპუტატად. ამრიგად, გამორიცხულია პარლამენტის მონოპოლიზაციის შესაძლებლობა ერთი ეროვნების მიერ და გარანტირებულია შესაძლებლობა, რათა ყაზახეთის მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებმა დაიცვან ეთნიკური ინტერესები.

ქვეყნის წარმატებული განვითარების მთავარ პირობად კვლავ რჩება შინაპოლიტიკური სტაბილურობის მხარდაჭერა, მათ შორის ქვეყანაში რეგიონალურ ურთიერთობათა ჰარმონიზაციის ხარჯზე.

ამჟამად ქვეყანაში წარმოდგენილია 30-ზე მეტი სხვადასხვა რელიგიური მიმდინარეობა. მათგან უდიდესია ყაზახეთისთვის ტრადიციული ისლამი და ქრისტიანობა (მართლმადიდებლობა). ამავე დროს, შეინიშნება გასაოცარი ჰარმონია ქვეყანაში ამ და სხვა რელიგიების ურთიერთობებში.

ყაზახეთში მტკიცდება პრაქტიკა, როდესაც ქრისტიანები ულოცავენ მუსლიმანებს ყურბან-აიტის დღესასწაულს, მუსლიმანები კი ულოცავენ ქრისტიანებს შობასა და აღდგომას.

ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ, როდესაც მხარს უჭერს რელიგიური სულიერების განვითარებას, ყაზახეთი არის სამოქალაქო საზოგადოება და გამოდის რელიგიური განსაკუთრებულობის დამკვიდრების მცდელობის წინააღმდეგ.

მთლიანად, ეთნოსთაშორისი სტაბილურობის შენარჩუნება სახელმწიფო პოლიტიკის საფუძველია. ეკონომიკური თანხმობის, ყველა ეთნოსისა და ეთნიკური ჯგუფის თანაბარუფლებიანობა, რომლებიც ყაზახეთში ცხოვრობენ, კანონის ნორმაა. ქვეყანაში ეროვნულ და რელიგიურ ურთიერთობათა შემდგომი ჰარმონიზაციის ეფექტიანი სისტემის დამუშავება და რეალიზაცია, ტოლერანტული შეგნებისა და პროფილაქტიკის ჩამოყალიბება ყაზახეთის საზოგადოებაში არის კომპლექსური ამოცანა ყველა სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციისთვის.

მთლიანად თანამედროვე ყაზახეთის ეროვნულ ურთიერთობათა სფეროში საფუძვლიანია შემდეგი პარადიგმები. ყაზახი ეთნოსის ეროვნული თვითშეგნების ზრდა შეიძლება მიმდინარეობდეს მხოლოდ ხელსაყრელი პირობების შექმნის პირობებში სხვა ეთნოსების განვითარების პარალელურად; მოქალაქეთა ეროვნული იდენტიფიკაციის ყაზახური მოდელის დამუშავება.

ამ დროს ყოველი გამოსვლის დროს ქვეყნის ხელმძღვანელობა აქცენტს აკეთებს პროგრესის მიღწევის შესაძლებლობაზე მთელი ყაზახი მოსახლეობის ძალისხმევისა და კონსოლიდაციის პირობებში.

„ეთნოსთაშორისი შეთანხმება — ეს მაცოცხლებელი ჟანგბადია. ჩვენ ამას ვერ ვამჩნევთ, როდესაც ვსუნთქავთ, ვაკეთებთ ამას ავტომატურად — ჩვენ უბრალოდ ვცხოვრობთ. ჩვენ თვითონ უნდა გავუფრთხილდეთ ჩვენს ერთიანობასა და ეთნოსთაშორის შეთანხმებას, — მიმართა ყაზახეთის ხელმძღვანელმა ნურსულთან ნაზარბაევმა თავის ტრადიციულ გზავნილში ქვეყნის მოსახლეობისთვის. — რა არის სტაბილურობა და თანხმობა? ეს არის ოჯახური კეთილდღეობა, უსაფრთხოება, სახურავი თავს ზევით. მშვიდობა — ეს არის დედობისა და მამობის სიხარული, მშობელთა ჯანმრთელობა და ჩვენი ბავშვების ბედნიერება. მშვიდობა — ეს არის სტაბილური მუშაობა, ხელფასი და ხვალინდელი დღის რწმენა. მშვიდობა და სტაბილურობა — ეს არის საყოველთაო სახალხო ღირსება, რომელიც ყოველდღიური შრომით უნდა დავიცვათ და განვამტკიცოთ“.

ყაზახეთის გამოცდილება, როგორც ქვეყნისა, რომელმაც შეძლო არ დაეშვა ეთნოსთაშორისი და რელიგიათშორისი დავები თავის ტერიტორიაზე 140-ზე მეტი ეთნოსისა და უამრავი რელიგიების პირობებში, შეიძლება გახდეს მაგალითი შესწავლისა და მხარდაჭერისთვის.

კოტე სირბილაძე

თბილი, ნდობითი ურთიერთობანი

ყაზახეთს არ აქვს გასასვლელი ოკეანეში. საქართველო მისი ნავსადგურებით შავი ზღვის სანაპიროზე ხსნის ამ შესაძლებლობას ჩვენი ქვეყნისთვის. ამის შესახებ საქართველოში ყაზახეთის ელჩმა ერმუჰამეტ ერტისბაევმა განაცხადა პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებისთვის, რომელიც გაიმართა თბილისის „მერიოტის“ სასტუმროში. მისი სიტყვებით, ორ ქვეყანას აერთიანებს თბილი, ნდობითი ურთიერთობანი. ელჩმა აღნიშნა, რომ მისი ქვეყნის ინვესტორები დიდად არიან დაინტერესებული ქართული ბაზრით, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის სფეროში და განზრახული აქვთ შექმნან ამ დარგში ერთობლივი საწარმოები. მან აგრეთვე გვაცნობა ყაზახეთის განზრახვის შესახებ აქტიურად გამოიყენოს სარკინიგზო ხაზი ბაქო-თბილისი-ყარსი, რომელიც მწყობრში 2015 წელს უნდა ჩადგეს.

2014 წლის ნოემბრის ბოლოს ყაზახეთის პრეზიდენტმა გადაწყვიტა კვლავ მიმართოს თავისი ქვეყნის მოსახლეობას ყოველწლიური გზავნილით რამდენიმე თვით ადრე ამგვარი მოხსენებების გამოქვეყნებამდე ჩვეულებრივ ვადაზე ადრე. მან გამოაცხადა ახალი ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ, რომელიც უკვე მომავალი წლის დასაწყისიდან უნდა განახორციელონ მისმა თანამემამულეებმა. სახელმწიფოს მეთაურმა განმარტა გზავნილის გადატანის ვადები გზავნილისა, რომელიც ჩვეულებრივად იანვარ-თებერვალშია ხოლმე, ეს ახსნა იმის აუცილებლობით, რომ მოახდინოს ოპერატიული რეაგირება „გამოწვევებზე“, რომლებიც ყაზახეთის საზოგადოებას გაუგზავნეს.

ყაზახეთის ძლიერი გარღვევა მსოფლიოს ცნობილი ქვეყნების რიგებში, უწინარეს ყოვლისა, თავისი ეკონომიკური შედეგებისა და პოლიტიკური წონის წყალობით, საშუალებას იძლევა ვილაპარაკოთ „ყაზახეთის გზის“ შესახებ — ეს არის ხალხის სიღრმისეული პოტენციალის სრული გამოვლენა, რომელმაც მოიპოვა თავისუფლება, შემოქმედების და ეროვნული რწმენის ზრდა. 20 წლის განმავლობაში შინაგანი მთლიანი პროდუქცია მოსახლეობის ერთ სულზე ყაზახეთში 16-ჯერ გაიზარდა. თუ 1993 წელს იგი 700 დოლარს შეადგენდა, დღეს ქვეყანამ მიაღწია 13,5 ათასზე მეტ დოლარის მაჩვენებელს.

ელჩმა შეგვახსენა საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ამასწინანდელი ვიზიტი ყაზახეთში. მე ვიჯექი პრეზიდენტის გვერდით, ამბობს ელჩი, როდესაც იგი შეეკითხა ქართველ პრემიერს საქართველოს სახელმწიფო-პოლიტიკური მოწყობის შესახებ. საპარლამენტო რესპუბლიკა — ეს თქვენი არჩევანია, თქვა ნურსულთან ნაზარბაევმა. ყაზახეთში ძლიერია პრეზიდენტის ინსტიტუტი. ამ ეტაპზე ეს საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ ძალების კონსოლიდაცია და მივაღწიოთ ძლიერ ეკონომიკურ გარღვევას. ყაზახეთმა დაისახა ამოცანად შევიდეს მსოფლიოს 30 მოწინავე ქვეყნების რიცხვში.

შეხვედრაზე ბერმუჰამეტ ერტისბაევმა მოახდინა პრეზიდენტ ნურსულთან ნაზარბაევის ბროშურა-გზავნილის პრეზენტაცია, რომელიც თარგმნილია ქართულ ენაზე.

გივი ნებიერიძე

დედამიწის ზურგზე

გამოკითხვა: ჩინელთა უმრავლესობა მოთმინებით ეპყრობა ჰომოსექსუალისტებს და გამოდის სხვა მოძალადეებთან მათი თანაბარი უფლებების მხარდასაჭერად

გამოკითხულთა 40 პროცენტი მხარს უჭერს ერთსქესიან ქორწინებებს, 19 პროცენტი წინააღმდეგია. ხუთიდან ოთხი ჩინელი ეთანხმება იმას, რომ არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის წარმომადგენლებს უნდა ჰქონდეთ თანაბარი უფლებები დანარჩენებთან ერთად სამუშაოზე. 83 პროცენტს მიაჩნია, რომ სამუშაო ადგილზე ლოიალურად უნდა ეპყრობოდნენ ყველას, მათი სექსუალური ორიენტაციის მიუხედავად.

* * *

ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალების დარტყმის მიზანი დამასკოსთან შეიძლება რუსული კომპლექსები C-300 ყოფილიყო, რომლებიც „ჰესბოლასთვის“ გათვალისწინებული იყვნენ

არაბული გაზეთის „ალ-კუდს ალ-არაბის“ წყაროები ამტკიცებენ, რომ სირიამ არა მხოლდ მიიღო რუსეთისგან საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები 2010 წლის კონტრაქტით, არამედ განზრახული ჰქონდა გაეყო ისინი „ჰესბოლასთვის“ ლიბანში. ამ დროს ოფიციალური დადასტურება გარიგების შესრულების შესახებ მოსკოვსა და დამასკოს შორის არ შემოსულა. ისრაელში ავიადარტყმას კომენტარს არ უკეთებენ.

* * *

ნეპალში გადატვირთულ ავტობუსში საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მსხვერპლი 17 კაცი გახდა, 50 კი მძიმედ დაზარალდა

ავტობუსი, რომელიც გზას ასცდა, დაეშვა თავდაღმართზე დაახლოებით 600 მეტრის სიმაღლიდან. ავარია სიბნელეში მოხდა. მომხდარის მიზეზები უცნობია. არანაირი მონაცემები დაღუპულთა შესახებ არ მოჰყავთ. სულ სატრანსპორტო საშუალებაში 67 კაცი იმყოფებოდა, როდესაც მასში მხოლოდ 38 ადგილი იყო.

* * *

მაროკოში მატარებელმა გაიტანა მინისტრი, როდესაც იგი დეპუტატის დაღუპვის ადგილს ათვალიერებდა

აბდალა ბახა, მთავრობის მეთაურის აბდელილა ბენკირანის მეგობარი, ავტომობილში იმყოფებოდა, როდესაც შეტაკება მოხდა. ეს მოხდა ქალაქ ბუზნიკაში, რომელიც დედაქალაქ რაბათიდან შორს არ არის. მინისტრი 60 წლისა იყო, მას დარჩა ცოლი და ოთხი შვილი.

◎ აქციზი და ყოფა

ხალხის კეთილდღეობა და ბიუჯეტის შევსება – ხარისხის უგულებელყოფით

უკვე ცნობილია, რომ მომავალი წლიდან თამბაქო და ალკოჰოლური სასმელები გაძვირდება. ამას პირველ რიგში მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესებით (ძვირს ვერ დალევენ და ვერ მოწევენ – ზ. ბ.) და ბიუჯეტის შევსებით ხსნის ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური. მისი თქმით, ფასების მატებით სახელმწიფო ხაზინა დამატებით მიიღებს: ალკოჰოლური სასმელებისგან – 40 მლნ. ლარისა და თამბაქოს ნაწარმისგან – 70 მლნ ლარის შემოსავალს.

უკვე დაგეგმილმა ფასის მომატებამ გარკვეული რეაქცია გამოიწვია საზოგადოებაში, ამ სფეროში დასაქმებული ბიზნესმენების მხრიდან.

ქართული ლუდის პიონერად მიჩნეული **გოგი თოფაძე,** ამბობს, რომ აქციზის გაძვირება ნაცადი ხერხია, მას ბევრ ქვეყანაში მიმართავენ. იგი თვლის, რომ ამ პროცესებმა საზოგადოებაში ნეგატიური განწყობა არ უნდა შექმნას. ბიზნესმენი არ გამორიცხავს, რომ გაძვირება, შესაძლოა, დროებითი მოვლენაც გახდეს.

დღეისათვის სპირტიან სასმელებზე აქციზი 2,5 -4 ლარამდე მერყეობს. გაძვირების შემთხვევაში პროდუქტიც მნიშვნელოვნად მოიმატებს.

„კასტელ საქართველოს“ ფლობელი **თემურ ჭყონია** გაანგარიშებებზე დაყრდნობით აცხადებს, რომ სასმელების თავშეყრის ადგილებში აკრძალვას (მათ შორის, ლუდისაც), მოჰყვა მათი რეალიზაციის შემცირება. ამას ემატება გაძვირებაც, რაც ბიზნესისათვის სერიოზული საფრთხეა. თუ კი გაყიდვა შემცირდა, როგორ გაიზრდება შემოსავლები?! მსგავსმა ღონისძიებებმა (აქციზის გაძვირება) რუსეთში 4 კომპანია იძულებული გახადა საქმიანობა შეეჩერებინა. ამ და სხვა მაგალითების გათვალისწინებით, ბიზნესმენი ასკვნის, რომ გადაწყვეტილების მიღებამდე საჭირო იყო სპირტიანი სასმელების მწარმოებელ კომპანიების ხელმძღვანელებთან შეხვედრა და ანალიზის ჩატარება. ბიზნესი დღეს ყოველგვარი ჩარევისგან თავისუფალია. თუმცა, ხელისუფლებამ ის წინდაუხედავი ქმედებებით გამოუვალ მდგომარეობაში არ უნდა ჩააყენოს, – მიაჩნია „კასტელ საქართველოს“ მფლობელს.

პროდუქციის გაძვირებაზე საუბრობს კომპანია „სარაჯიშვილის“ მარკეტინგის სამსახურის უფროსი **თათული აბესაძეც**. თუმცა, მისი აზრით, კომპანია მაქსიმალურად შეეცდება, რომ მატება (ფასთა სხვაობა) დიდი არ იყოს. იგი ამ პირობებში კონტრაბანდის გაჩენასაც გამორიცხავს.

სიგარეტზე ფასის მომატებას სხვადასხვანაირად აღიქვამენ მისი იმპორტიორები და მწარმოებლები. შემომტანნი აცხადებენ, რომ აქციზის ზრდა უმნიშვნელოა. მათ საქონელზე ფასები ხელმისაწვდომი იქნება, რაც კონტრაბანდას გამორიცხავს. უმსხვილესი თამბაქოს მწარმოებელი კომპანია „ჯი-თი-აი“-ს ერთ-ერთი ხელმძღვანელი **ივანე ხასია,** თავისი კოლეგების მოსაზრებას სრულიად ეთანხმება, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გაძვირების პროცესი არ იქნება ეტაპობრივი. „თამბაქოს კონტროლის ალიანსის“ წევრი **გიორგი მაღრაძე** აღნიშნავს, რომ თამბაქოს მწარმოებლებისაგან რისკები პროგნოზირებულია და ზომებია მიღებული.

იმპორტიორებისაგან განსხვავებული მოსაზრებები აქვს კომპანია „სამგორი-94“-ის (სიგარეტ „პირველის“ მწარმოებელი) დამფუძნებელს **ავთო წერეთელს**. იგი ამბობს, რომ მდგომარეობა საგანგაშოა. აქციზის გაზრდა შეამცირებს რეალიზაციას და, აქედან გამომდინარე – შემოსავლებს. ბიზნესმენი აღნიშნავს, რომ დიდ სეგმენტში მომუშავე ქარხნები ერთ ყუთზე 200-300-ლარიან მოგებას ნახულობენ. ისინი ძვირად ღირებულ პროდუქტზე მუშაობენ და აქციზზე ფასების მატება უმნიშვნელოა. თამბაქოს ქართული ინდუსტრია „სულს ღაფავს“, – აცხადებს წერეთელი. იგი თვლის, რომ პროცესების ამგვარი გაგრძელების შემთხვევაში მისი ქარხანა აუცილებლად გაჩერდება. გაიფურჩქნება კონტრაბანდა. ბიზნესმენის ინფორმაციით, გუდაუთის კარგა ხნის წინათ გაჩერებულ ქარხანას კაპიტალური რემონტი უტარდება, მისი სრული ძალით ამუშავება სწორედ იმ მომენტისთვისაა გათვალისწინებული, როდესაც ძალაში შევა აქციზებზე მომატებული გადასახადები, – ამტკიცებს სიგარეტ „პირველის“ მწარმოებელი.

ხარისხის ამაღლებაზე არავინ ფიქრობს

ხადურის უწყება ბიუჯეტის შევსებაზე ფიქრობს, მეწარმეები შემოსავლების შესაძლო შემცირებაზე წუწუნებენ, არავის ახსოვს მომხმარებელი – ფულის გადამხდელი, რა ხარისხის პროდუქცია მიეწოდება მას?

როგორც ნავთლუღის არაყ-ლიქიორის ჩამოსასხმელი ქარხნის დეგუსტაციის საამქროს ყოფილი ინჟინერი **გივი ორკოდაშვილი** გვიყვება, მათთან სარკინიგზო გზებით შემოდიოდა უკვე გაფილტრული სპირიტი უკრაინიდან. არყის დასამზადებლად მას ორმაგ ფილტრში ატარებდენენ. შესამაბისი ტექნოლოგიური პროცესების გავლის შემდეგ სარეალიზაციოდ გამზადებულ პროდუქციას სპეციალური ტექნიკური კომისია ამოწმებდა. ამის შემდეგ გადადიოდა სავაჭრო ქსელში. სსრკ-ის დაშლის შემდეგ მოწოდების ერთიანი სისტემა დაირღვა. უკრაინიდან მაღალი ხარისხის სპირტის შემოსვლა ჯერ შემცირდა, მალე კი მთლიანად შეწყდა. მას დაერთო აფხაზეთის ამბები. შემოვლითი გზით შემოტანა პროდუქციის თვითღირებულებაზეც აისახა. სამაგიეროდ, მის შემცვლელად ხარბმა ბიზნესმენებმა ტექნიკური სპირტი გამონახეს, რომელიც სპირტს ყველაზე დაბალი სახეობაა. მას აშშ-სა და მაღალგანვითარებულ ქვეყნებში კოსმოსური მოწყობილობების გასაწმენდად იყენებენ. მისი გამოყენება კვების ობიექტებში სასტიკად აკრძალულია. ამაზე სისხლის სამართლის მუხლიც კი არსებობს, – ამბობს ჩვენთან მოსაუბრე. მისი გადმოცემით, უკრაინულის ტექნიკური სპირტით ჩანაცვლება კომუნისტების ზეობის უკანასკნელ წლებში დაიწყო. „მრგვალების“ დიქტატის პერიოდში, როდესაც კერძო საკუთრებამ ფეხის მოკიდება დაიწყო, ამ საწამლავს დიდი გასაქანი მიეცა. „კუსტარნიკები“ ჭაჭის ეგიდითა და ეტიკეტით წყალნარევ ტექნიკურს იაფად ჰყიდნენ. იქამდეც კი მივიდნენ, რომ მას სხვადასხვა მინარევებს ამატებდნენ (ჩაი, ყავა და სხვა) ფერისათვის და კონიაკის სახით ასაღებდნენ ხელმოკლე მომხმარებელზე. ამგვარმა „პროდუქციამ“ დახლებზე შეაღწია. იმავე მინარევებით სავსე ბოთლებს დახუფულის სახით ალაგებდნენ დახლებზე. სხვადასხვა ყალბ, კერძო ეტიკეტებს კერძო სტამბებს აბეჭდინებდნენ.

შევარდნაძის პერიოდში ოფიციალურმა სიყალბემ იმდენად დიდი გასაქანი ჰპოვა, განმარტავს ჩვენი რესპონდენტი, რომ მთავრობა იძულებული გახდა, კერძო „ნაწარმზე“ აქციზის ამსახველი ნიშნის აუცილებლობა მოეთხოვა. ამის არმქონე მოვაჭრეებს სერიოზული სანქციები დაუწესეს. ამით, რეალიზატორებთან ერთად, პასუხისმგებლობას ჩამომსხმელებსაც აკისრებდნენ.

აკრძალვებით ბიუჯეტში დამატებითი თანხები – შემოსავლები გაჩნდა და რაც მთავარია, მყიდველს აფრთხილებდნენ თუ რა ხარისხის სასმელს იძენდნენ., მაგრამ კონტროლის ამ მექანიზმმა ცოტა ხანს იმუშავა. საკაშვილის ხელისუფლებამ შემოტანილ ტექნიკურ სპირტზე ყოველგვარი კონტროლი გააუქმა. მას, ისე როგორც ბევრ სხვას, „შევარდნაძის გადმონაშთი“ უწოდეს, რასაც უმალ მოჰყვა ამ ბიზნესის გაფართოება (კეზერაშვილსა და მის თანამოაზრეებს ხომ უნდა გახსნოდათ ფართო გზა შემოტანილის გასაღებისთვის), არავის არ ადარდებდა უხარისხო სპირტისგან გამოწვეული უმძიმესი შედეგები, – ასკვნის გივი ორკოდაშვილი.

მკვლელობა, დაჭრა, ხულიგნობა - ალკოჰოლის თანამდევი ატრიბუტებია

შსს-ს ანალიტიკურ სამსახურთან დაახლოებული პირი (ვინაობის დასახელებისგან თავი შეიკავა) გვეუბნება, რომ მძიმე დანაშაულის ჩამდენთა შორის მკვეთრია ალკოჰოლთან დაკავშირებულთა ხვედრითი წილი. სხეულის განზრახ და შემთხვევით დაზიანების მიმღებთა და ჩამდენთა შორის ხშირია კონფლიქტი თანამეინახეთა, ნათესავებსა და დედ-მამიშვილებს შორის.

ფინანსური სანქციების შემოღებამ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ალკოჰოლური სასმელების მიმღებთა მიმართ, გარკვეულწილად გააუმჯობესა ამ ტერიტორიებზე ვითარება. შედარებით შეამსუბუქა პოლიციის საქმიანობა. არყის სისტემატიურად მომხმარებლებმა თანამოაზრეთა საცხოვრებლებში გადაინაცვლეს. სწორედ ამგვარი ბუნაგები გახდა ნასვამთა შორის ატეხილი ჩხუბების შედეგად მძიმე დანაშაულების ჩადენის ადგილი. ხაზგასასმელია, გვიყვება ჩვენი ინკოგნიტო მოსაუბრე, რომ მობინადრეთა საცხოვრებლებში გაჩენილი ხანძრების 70%-მდე სწორედ ალკოჰოლთან არის დაკავშირებული. საინტერესოა, რომ ოჯახური კონფლიქტების გამოვლენაში სამართალდამცავები ჯეროვან მხარდაჭერას ვერ გრძნობენ საზოგადოების, ადგილობრივი მცხოვრებლების მხრიდან. არადა, მოსახლეობა სამართლიანად ითხოვს წესრიგს, სიმშვიდეს, უსაფრთხოებას, მაგრამ არა აქვთ გაცნობიერებული, რომ მათი ჩარევის გარეშე, ყოველივე ეს ძნელად მისაღწევია, ამბობს ჩვენი რესპონდენტი შსს-დან. მისი აზრით (რომელიც ასეულობით თანამშრომლის მოსაზრებაცაა), უნდა მიიღონ იმ სახის კანონები, რომლებიც არ დააზარალებენ ბიზნესის, მოსახლეობის ინტერესებს, უზრუნველყოფენ კანონის დაცვას, რისი მთავარი გარანტი არის და იქნება პოლიცია.

რაც შეეხება თამბაქოს ხარისხს, მის შესახებ კვების მრეწველობის სისტემის ტექნოლოგი ნინო ლატარია ორსიტყვიანი ფრაზით შემოიფარგლება– რა უნდა ვთქვათ მაშინ, როდესაც აშშ-სა და დასავლეთ ევროპაში ერთი კოლოფი სიგარეტის ფასი 3-5 დოლარსა და ევროს შორის მერყეობს. ჩვენთან კი რა ღირს? – კითხულობს ტექნოლოგი და ასკვნის , რომ ფასები ხარისხის პირდაპირპროპორციულია.

ზაზა ბილიხოძე

◎ ხალხის აზრი სარედაქციო ფოსტიდან

ისევ დიდი მეფის ძეგლის გამო

ღია წერილი თბილისის მერს დავით ნარმანიას

ბატონო დავით,

ამ წერილს გწერთ იმის თაობაზე, თუ სად უნდა იდგეს ჩვენი დიდი მეფის დავით აღმაშენებლის ძეგლი.

გაზეთ „ასავალ-დასავალში“ 2014 წლის 17-23 ნოემბრის ნომერში რუბრიკით „ჩემო თბილის-ქალაქო“ დავით აღმაშენებლის ძეგლის თბილისის ცენტრში დაბრუნებასთან დაკავშირებით ბატონი ჯაბა ხუბუა წერს, რომ „უბრალოდ, საჭიროა, თბილისის ცენტრიდან საკაშვილის ველოსიპედის აღება და დავით აღმაშენებლის ძეგლის დაბრუნება!“

როგორც ბევრი თბილისელის, ისე ჩემი აზრით, დავით აღმაშენებლის ძეგლი უნდა იდგეს მისი სახელობის გამზირისა და კოტე მარჯანიშვილის ქუჩის გადაკვეთაზე მდებარე მოედანზე, ან დავით აღმაშენებლის ხეივანთან.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ ხალხის აზრი და დავით აღმაშენებლის ძეგლი გადმოიტანოთ მოედანზე დავით აღმაშენებლის გამზირისა და კოტე მარჯანიშვილის ქუჩის გადაკვეთაზე.

პატივისცემით
ნათელა დავითაშვილი,
2014 წლის 4 დეკემბერი,
თბილისი, ნაძალადევის რაიონი

◎ ალიან-ჩალიანი

ხანძარი ბაზრობაზე

ბათუმში, ე. წ ხოფას ბაზრობაზე გაჩენილი ხანძრის გამო ერთი ადამიანი დააკავეს. მომხდართან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის მთავარ სამმართველოში გუშინ გვიან ღამემდე მიმდინარეობდა ხუთი ადამიანის დაკითხვა. საგამოძიებო ორგანოში დაკითხვაზე იმყოფებოდნენ პიროტექნიკის მაღაზიის მეპატრონე მალხაზ თებიძე, მისი ძმა და მამა, შემდუღებელი ზურაბ ზაქარიაძე და მისი დამხმარე რუსლან ქოთელიძე.

როგორც მათმა ადვოკატმა რამინ პაპიძემ განაცხადა, რუსლან ქოთელიძე დააკავეს, ხოლო სხვა პირები დაკითხვის შემდეგ გაათავისუფლეს. ადვოკატის თქმით, მას არ მიეცა საშუალება, შეხვედრა-და საქმის გამომძიებელს და გაცნობოდა მასალებს.

მთავარ სამმართველოსთან გვიან ღამემდე იმყოფებოდნენ დაკითხვაზე მყოფების ახლობლები. მომხდართან დაკავშირებით გამოძიება 187-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ნივთის დაზიანებას ან განადგურებას ითვალისწინებს.

ხანძარი ე.წ. ხოფას ბაზრობაზე კვირას, დღის მეორე ნახევარში გაჩნდა. შემთხვევის შედეგად დაიღუპა ბაზრობაზე მომუშავე ცოლ-ქმარი, ხოლო 51 წლის მამაკაცი მძიმე მდგომარეობით რეანიმაციულ განყოფილებაშია მოთავსებული. ხანძრის დროს 600 კვადრატულ მეტრზე განთავსებული მაღაზიები დაიწვა. ხანძარი პიროტექნიკის საწყობს გაუჩნდა, რამაც აფეთქება გამოიწვია.

ინტერპრესი

◎ ძიუდო

ფინალში — 32 წლის შემდეგ

1982 წელს ევროპის ჩემპიონმა და მსოფლიოს ბრინჯაოს მედალოსანმა დავით ბოდაველმა (86 კგ) იაპონიაში ძიგორო კანოს ტურნირზე გაიმარჯვა. მას შემდეგ ამ შეჯიბრების არათუ ჩემპიონი, ფინალისტიც არ გვყოლია. და აი, გასულ უქმეებზე ევროპის ორგზის ჩემპიონ და ოლიმპიურ პრიზიორ გივი ონაშვილის შვილიშვილი ლევან მატიაშვილი (მძიმე წონა) ფინალში უპრობლემოდ გავიდა: ჯერ აზერბაიჯანის სახელით მოჭიდავე უშანგი კოკაური ჩამოიშორა გზიდან, მერე იაპონელები — კეიტა ივაო და ახალგაზრდებში ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი ტაკეში ოჯიტანი დაამარცხა, ფინალი კი რუს რენატ საიდოვთან დათმო და ვერცხლის მედალს დასჯერდა.

საქართველოს დელეგაციას ბრინჯაოს მედალი მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონმა ავთანდილ ჭრიკიშვილმა შესძინა. მან ჯერ აზერბაიჯანელ აბდულაგ რასულუს მოუგო იპონით, შემდეგ ჩინელ ჰემუბატუ ერის აჯობა, მათს გზას გაუყენა იაპონელი გოკი მარუიამა და ნახევარფინალში მომავალ ჩემპიონ ტაკანორი ნაგასესთან დამარცხდა. დამამშვიდებელში ჭრიკიშვილმა ბრაზილიელი ვიქტორ პენალბერი დაჯაბნა. დანარჩენი ქართველი ძიუდოისტები კვარცხლბეკს ვერ შესწვდნენ.

გიზო იოსავა

სურათზე: ლევან მატიაშვილისა და რენატ საიდოვის ჭიდაობის მომენტი.

◎ ჩოგბურთი

ქვაცაბაიამ ისევ წყვილებში იმარჯვა

ერთი კვირის წინათ ჩოგბურთელ ქალთა ანტალიის 10.000-იანი საერთაშორისო ტურნირის წყვილთა პაექრობა თბილისელებმა — სოფიო ქვაცაბაიამ და ეკატერინე გორგოძემ მოიგეს. მომდევნო შეჯიბრებაში ჩვენებურები სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებს შეუამხანაგდნენ: ქვაცაბაია — სლოვაკ შანტალ სკამლოვას და პირველ ნომრად იყო განთესილი, ხოლო გორგოძეს სლოვენიელ ნასტია კოლართან ერთად მეორე ნომერი ჰქონდა.

ნახევარფინალში ქვაცაბაიამ და სკამლოვამ იოლად მოუგეს ივა პრიმორაცსა (ხორვატეთი) და რებეკა სრამკოვას (სლოვაკეთი) 6:2, 6:2 და ფინალში დებორა კერფსისა (ბელგია) და საბინა სლავიკოვიჩის (უნგრეთი) მძლეველ (6:2, 6:4) გორგოძესა და კოლარს უნდა შეხვედროდნენ, მაგრამ მანამდე კოლარმა ერთეულთა თანრიგში ამანდა კარერასთან (დიდი ბრიტანეთი) დაპირისპირებისას ტრავმა მიიღო და კორტზე გასვლა ვერ შეძლო. ქვაცაბაიასა და სკამლოვას მთავარი პრიზი უბრძოლველად ერგოთ.

გორგოძე და ქვაცაბაია ანტალიაში რჩებიან და დღეიდან ახალ 10.000-იან საერთაშორისო ტურნირში ჩაებმებიან.

თამაზ პატარაია

◎ ჭადრაკი

ნდობის მანდატი — ოთხი წლით

გასულ უქმეებზე საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა გაიმართა. გაწეული მუშაობის შესახებ ფედერაციის პრეზიდენტმა გიორგი გიორგაძემ ილაპარაკა, რომელმაც დელეგატებს ბოლო ოთხი წლის წარმატებები შეახსენა. კერძოდ, ითქვა, რომ 2011 წელს საქართველომ ქალთა ინდივიდუალურ ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლა, შარშანწინ თბილისში ქალთა სუპერტურნირი, ხოლო ბათუმში სწრაფ და ელვისებურ ჭადრაკში მსოფლიოს ჩემპიონატები გაიმართა, 2012-2013 წლებში ქუთაისსა და ურეკში 8-12-წლამდელთა ევროპის თასი გათამაშდა, 2014 წელს ლოპოტაში ფიდეს ქალთა გრან პრის გათამაშებაში 12 უძლიერესი დიდოსტატი მონაწილეობდა; ოქტომბერში აჭარის დედაქალაქში გამართულ 8-18 წლის მოჭადრაკეთა ევროპის პირველობაზე ჩვენებმა სამი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. ბოლო ორ წელიწადში სალომე მელიას ევროპის პირად ჩემპიონატებში ვერცხლის და ბრინჯაოს მედლები ხვდა, ნანა ძაგნიძემ ბლიცში მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის მედალი დაიმსახურა, ბაადურ ჯობავას ევროპის ინდივიდუალური ჩემპიონატის ვერცხლი და სწრაფ ჭადრაკში ოქროს მედალი ერგო.

წლეულს ნორვეგიულ ტრომსოში გამართულ ფიდეს კონგრესზე ბათუმმა 2018 წლის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის მასპინძლობის უფლება მოიპოვა, ხოლო ზურაბ აზმაიფარაშვილი ევროპის საჭადრაკო კავშირის პრეზიდენტად აირჩიეს. აღინიშნა აგრეთვე, რომ ბათუმის საჭადრაკო კლუბმა „ნონამ“ წლეულს ევროპის საკლუბო ჩემპიონატზე ყველას აჯობა. ითქვა ისიც, რომ ჭადრაკის სასახლე ამჟამად თბილისის მერიის ანგარიშზეა და დედაქალაქის მესვეურები მის გარემონტებას 2017 წლისთვის აპირებენ. სწორედ იმ დროს თბილისი ვაჟთა მსოფლიოს თასის გათამაშების მონაწილეებს მიიღებს, გაისად კი საქართველოს დედაქალაქში ფიდეს ვაჟთა გრან პრის მესამე ეტაპი გაიმართება.

ყრილობაზე სიტყვით გამოვიდნენ: ევროპის საჭადრაკო კავშირის პრეზიდენტი, საქართველოს სპორტის მინისტრის პირველი მოადგილე ზურაბ აზმაიფარაშვილი, სპორტის მინისტრის მოადგილე თამაზ თევზაძე, ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი, დიდოსტატები — თამაზ გიორგაძე, დავით გურგენიძე, ვალერი გაფრინდაშვილი, იმერეთისა და ქვემო ქართლის ჭადრაკის ფედერაციების პრეზიდენტები — ზაზა ლომინაძე და გენადი უჩუმბეგაშვილი.

ყრილობის დელეგატებმა მომდევნო ოთხი წლით ფედერაციის პრეზიდენტად კვლავ გიორგი გიორგაძე, ვიცე-პრეზიდენტად ზურაბ მიქაძე და გენერალურ მდივნად აკაკი იაშვილი აირჩიეს.

ლექსო ციცაგაძე

სურათზე: გიორგი გიორგაძე.

მერის დუბლი

სხვადასხვა კუთხის 21 წარმომადგენელი ცდიდა ძალებს მოჭადრაკე ქალთა რაპიდსა (სწრაფი) და ბლიცში (ელვისებური) საქართველოს გრან პრის მეოთხე ეტაპზე. გამარჯვებულები და პრიზიორები შვეიცარიული სისტემით ცხრა ტურმა გამოავლინა. რაპიდში მერი არაბიძემ 8 ქულით დაიკავა პირველი ადგილი. გამარჯვებულს 1,5-1,5 ქულით ჩამორჩნენ სოფიო გვეტაძე და სალომე ხაჟომია, რომლებმაც უკეთესი კოეფიციენტით, შესაბამისად, მეორე-მესამე ადგილები გაინაწილეს.

ბლიცშიც 9 შესაძლებლიდან 8.5 ქულით მერი არაბიძე იყო პირველი. 7 ქულით მეორე პრიზი ინგა ხურცილავას ერგო. 6,5 ქულით მესამე ადგილს ნინო ხურციძე დასჯერდა.

გივი გაგუა

სურათზე: მარცხნიდან — ნინო ხურციძე, ინგა ხურცილავა, მერი არაბიძე.

◎ ფიგურული ციგურაობა

ევროპაზეც მოსინჯავენ ძალებს

საქართველოს ფიგურული ციგურაობის ფედერაციის პრეზიდენტ მაკა გიორგობიანისა და ნაკრების მთავარ მწვრთნელ ინგა გიგაურის ხელმძღვანელობით ჩვენი სპორტსმენები ესტონეთის დედაქალაქში გამართულ ფიგურულ მოციგურავეთა Tallin Trophy. 2014-ში მონაწილეობდნენ. შეჯიბრებაში ჭაბუკთა მოკლე პროგრამით თბილისელი არმენ აგაიანი მესამე იყო, მაგრამ მან თავისუფალი პროგრამა უკეთ შეასრულა, 103.99 ქულით მეორე ადგილი დაიკავა და 2015 წელს ევროპის ჩემპიონატზე გამოსვლის უფლებაც მოიპოვა. ჩვენებურს არტიომ ცოგლინმა (ისრაელი, 107.56) გაუსწრო. 95.24 ქულით მესამე ადგილი ილია მირონოვს (რუსეთი) ხვდა.

უფროსი ასაკის მოცეკვავეებში მსგავს წარმატებას მიაღწიეს საქართველოს სახელით მოასპარეზე ტატიანა კოზმავამ და ალექსანდრ ზოლოტარიოვმა — 85.99 ქულით მეორე ადგილი დაიკავეს. პირველობა არავის დაუთმეს ელისონ რიდმა და ვასილი როგოვმა (ისრაელი, 90.27). მესამეზე ლატვიელები — ოლგა იაკუშინა და ანდრეი ნევსკი (82.19) გავიდნენ.

ლაშა დიდია

სურათზე: საქართველოს დელეგაცია ტალინში.

◎ ფეხბურთი

აქეთურ-იქითური

2014 წლის საფეხბურთო სეზონი საქართველოში 11 დეკემბერს დასრულდება, როცა ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე ქვეყნის სუპერთასისათვის 17 საათზე ერთმანეთს თბილისის „დინამო“ და საჩხერის „ჩიხურა“ შეხვდებიან.

XXIV ეროვნული ჩემპიონატის კალენდარმა ისე ინება, რომ პირველი წრის გამარჯვებულის ვინაობა სწორედ ამ გუნდების მატჩმა გამოავლინა. მართალია, ივანწმინდაში გამართული ბრძოლა მუმლაძის

გოლით მასპინძლებმა მოიგეს — 1:0, თუმცა, ამ დამარცხებას ხელი არ შეუშლია კახი გოგიჩაიშვილის შეგირდთათვის პირველებს გადაეკვეთათ საშუალედო ფინიშის ხაზი.

„თეთრ-ლურჯთა“ გასწრება გორის „დილას“ შეეძლო, მაგრამ მან მცხეთაში ძვირფასი ქულები დაკარგა „ვიტ ჯორჯიასთან“ — 2:2 და ბოძებული შანსი ვერ გამოიყენა.

საუკეთესო სამეული პირველი წრის შემდეგ: „დინამო“ — 29, „დილა“ — 28, „სამტრედია“ — 25 ქულა.

* * *

იტალია. „ფიორენტინა“ — „იუვენტუსი“ 0:0, „რომა“ — „სასუოლო 2:2, „ინტერი“ — „უდინეზე“ 1:2, „ნაპოლი“ — „ემპოლი“ 2:2.

ესპანეთი. „ბარსელონა“ — „ესპანიოლი“ 5:1, „რეალი“ — „სელტა“ 3:0, „ეიბარი“ — „ატლეტიკო“ 0:2, „რაიო ვალეკანო“ — „სევილია“ 0:1.

ინგლისი. „ნიუკასლი“ — „ჩელსი“ 2:1, „სიტი“ — „ევერტონი“ 1:0, „სტოკი“ — „არსენალი“ 3:2, „ლივერპული“ — „სანდერლენდი“ 0:0.

გერმანია. „ბაიერნი“ — „ლევერკუზენი“ 1:0, „ჰანოვერი“ — „ვოლფსბურგი“ 1:1, „ბორუსია“ — „ჰოფენჰაიმი“ 1:0, „აინტრახტი“ — „ვერდერი“ 5:2.

გიორგი შოთაძე

მარადიული ხსოვნა მამულიშვილებს

აფხაზეთში ომის შედეგად დატრიალებულმა ტრაგედიამ 21 წლის შემდეგ კიდევ ერთხელ შეგვახსენა თავი.

საკუთარ ქალაქს დაუბრუნდა სამშობლოსთვის თავდადებული, ერთი ოჯახის ოთხი წევრის, ძმების – ვასიკო და ნუკრი წიკლაურების და მათი დისშვილების, ძმების – ზურა და თემურ ზალდასტანიშვილების ცხედრები. ისინი უშიშროების სამინისტროს თანამშრომლები იყვნენ და იმ თვითმფრინავში ისხდნენ, რომელიც 1993 წლის 22 სექტემბერს ბაბუშერას აეროპორტში მოწინააღმდეგემ დაშვებამდე ააფეთქა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა კიდევ ერთხელ სამძიმარს უცხადებს გმირების ოჯახებს, რომელთა შთამომავლობას შეუძლია სამარადჟამოდ იამაყოს უკვდავი სახელებით.

ჩვენი საზოგადოება არასოდეს დაივიწყებს მამულიშვილებს, რომლებმაც სამშობლოს სამსხვერპლოზე ყველაზე ძვირფასი – თავიანთი სიცოცხლე მიიტანეს.

◎ ვერას დაგვაკლებ!

მზეს გაუმარჯოს, იმედის მზეს!

დედამიწაზე დეკემბერში ექვსდღიანი სიბნელე ჩამოწვებაო, იტყობინება ONLINEWS.GE და აღნიშნავს: ნასა ადასტურებს, რომ დედამიწაზე 16 დეკემბრიდან 22 დეკემბრამდე სიბნელე დაისადგურებს და მსოფლიოს მოსახლეობა მზის დაბნელებას შეუნიღბავი თვალითაც დაინახავსო.

მეცნიერთა განმარტებით, მზის ზედაპირზე იმდენად ძლიერი აფეთქებაა მოსალოდნელი, რომ იგი მზის სინათლის 90 პროცენტს დაბლოკავს.

ამის შესახებ კომენტარი ნასას დირექტორმა ჩარლზ ბოლდენმა გააკეთა.მსგავსი აფეთქებები 250 წელიწადში ერთხელ ხდება და 216 საათი ხანგრძლივობისაა. მეცნიერები ასევე აცხადებენ, რომ ექვსდღიანი სიბნელით დედამიწას არავითარი პრობლემა არ შეექმნება.

ჟურნალისტის კომენტარი: ბოლო 25 წლის მანძილზე მზე იმდენჯერ დაგვიბნელეს, იმდენი ღირსეული მამულიშვილი აწამეს და დაგვიხოცეს, იმდენი აქციეს ლტოლვილად და დევნილად, ტერიტორია იმდენჯერ ჩამოგვაჭრეს, მავთულხლართებით იმდენჯერ დაგვბორკეს, მტერ-მოყვარე იმდენჯერ აგვირიეს, ახალფეხადგმული ქვეყანა თავზე იმდენჯერ დაგვამხეს; მეცნიერება, სოფლის მეურნეობა, მრეწველობა,ხელოვნება და ყველაფერი სხვა, რაც კი საამაყო და ღირებული გვქონდა, ისე გაგვინადგურეს, რომ არა მგონია, ექვსდღიანმა, ანუ 216-საათიანმა მზის დაბნელებამ ახალი დამატებითი და თანაც სერიოზული პრობლემები შეგვიქმნას, მით უფრო, რომ დიდმა პოეტმა, სულგანათლებულმა გიორგი ლეონიძემ ჯერ კიდევ რამდენიმე ათეული წლის წინათ იწინასწარმეტყველა: „მზე ჩადის, მზე ხვალ ამოვა, უფრო დიდი და ჩახჩახა“

ჰოდა, მზეს გაუმარჯოს,წყვდიადიდან თავდახსნილ იმედის მზეს და 23 დეკემბერს მის გასხივოსნებულ შემობრძანებას წინასაშობაო და წინასაახალწლო საქართველოში!

ალექსანდრე შენგელია

მეუღლე დიანა ალანია, შვილები თეა, ნანა ოჯახებით, და ლონდა ოჯახით, შვილიშვილი ნია საბაშვილი ოჯახით, შვილიშვილები ლევან, ნინო საბიაშვილები, ცოლისძმა ვახტანგ ალანია, ბიძაშვილები ლია, მიხეილ, ზურაბ ესაკიები, ჯუმბერ ებრალიძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მერაბ დარსანია

პანაშვიდი 9, 10 XII, 17 სთ. წინამძღვრიშვილის 77-ში, გამოსვენება 11 XII, 14 სთ. საბურთალოს მაცხოვრის ამაღლების სახელობის ეკლესიიდან.

ილია ჭავჭავაძის კვლევითი ცენტრი ღრმა მწუხარებით იუწყება ფილოლოგიის დოქტორის, ცენტრის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის

გურამ ჭოხონელიძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

სულთათანა

გიორგი (გია) ქურდიანი

გარდაიცვალა **გიორგი (გია) ქურდიანი** – ქურდიანების არქიტექტურული დინასტიის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი, შემდგომში ღირსეულად წოდებული „ქართული არქიტექტურის რაინდად“.

გია, ვაჟი არჩილ და ქეთევან ქურდიანებისა, ბავშვობიდან იზრდებოდა ქართული არქიტექტურის ტრადიციებზე, ამიტომ ადრიანად შეუდგა არქიტექტურულ პრაქტიკულ საქმიანობას.

ოჯახის გარემომ, საქართველოს სამხატვრო აკადემიის არქიტექტურულმა ფაკულტეტმა, შემდგომში კი მიშა მელიასა და ლადო მესხიშვილის სახელოსნოში გატარებულმა წლებმა თავისი კეთილი დაღი დაასვეს ამ ლამაზ, გონიერ შემოქმედს.

იგი იყო მრავალი მნიშვნელოვანი არქიტექტურული ობიექტის ავტორი და თანამონაწილე. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს თბილისის „დინამოს“ სტადიონის რეკონსტრუქცია, რომელიც მან მამამისთან – არჩილ ქურდიანთან ერთად განახორციელა. აქ შეიძლება მრავალი ობიექტის ჩამოთვლა – სამთავრობო რეზიდენციების ობიექტები თბილისში, ბობოყვათში, ვარციხეში და ა.შ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი მადლიანი შემოქმედება მრავალი ობიექტის ინტერიერის მაღალმხატვრულ გადაწყვეტაში.

2006 წელს მისი ერთ-ერთი ობიექტი გახდა წლის საუკეთესო არქიტექტურული ნაწარმოები საქართველოში.

გია ქურდიანმა, როგორც ღირსეულმა წარმომადგენალმა ქურდიანების ოჯახისა, გაიარა არქიტექტურული შემოქმედების ყველა საფეხური – იყო პროექტის მთავარი არქიტექტორი, საპროექტო სახელოსნოს უფროსი, საქართველოს სხვადასხვა სამთავრობო ობიექტების მთავარი არქიტექტორი და ბოლოს, გია და არჩილ ქურდიანების შემოქმედებითი სახელოსნოს „დინასტიის“ გენერალური დირექტორი.

კარგი ხუროთმოძღვარი, კარგი მეგობარი, კარგი მეოჯახე და მამა, გია ქურდიანი დიდხანს დარჩება ქართული არქიტექტურული საზოგადოების მეხსიერებაში.

საქართველოს არქიტექტორთა კავშირი

მეუღლე მანანა ქურდიანი, შვილი არჩილ ქურდიანი, რძალი კირა ჩოხური, შვილიშვილი გიორგი ქურდიანი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული არქიტექტორი, ღირსების ორდენის კავალერი

გია ქურდიანი

გამოსვენება 9 XII, 15 სთ. მისამართი: ვასილ ბარნოვის №44 (ვერა).

◎ გაითვალისწინეთ!

აქტიური დღეები დეკემბერში

დეკემბერში გეოფიზიკური აქტივობის გაძლიერება მოსალოდნელია: 10-16, 20-29 რიცხვებში. ამ დღეებში შესაძლებელია ციკლონებისა და გრიგალების ჩამოყალიბება, ყველა სახის ავარიულობის გაძლიერება, სეისმოაქტივობის გაძლიერება და დაძაბულობა სოციუმში.

12 – მთვარის იუპიტერთან შეერთება ლომში. საკუთარი მნიშვნელობის გრძნობა, სურვილი ვუხელმძღვანელოთ სხვებს და ვაიძულოთ ისინი, დაგვემორჩილონ ჩვენ, ვიყოთ ყურადღების ცენტრში. შესაძლებელია გულის, სისხლის მიმოქცევის სისტემისა და ზურგის დაავადებანი. შეიძლება გაჩნდეს კანის დაავადებანი ღვიძლთან ან სისხლის დაბინძურების პრობლემების გამო. არ არის გამორიცხული უძილობა და რადიკულიტის შეტევები. სასურველია, უფრო ხშირად ვაკონტროლოთ სისხლის წნევა, დავიცვათ დიეტა, შევზღუდოთ ცხიმიანი და ტკბილი საკვების მიღება, უარი ვთქვათ ალკოჰოლზე, ვერიდოთ სიმძიმეების გადატანას, დატვირთვას გულზე და ხერხემალზე. სასარგებლოა ზომიერი ფიზიკური ვარჯიშები, ჰაერის აბაზანები, გასეირნება, სრულფასოვანი ძილი.

14 – მთვარის უკანასკნელი მეოთხედი. შესაძლებელია იმუნიტეტის დაქვეითება, უძილობა, ნერვული სისტემის და კანის დაავადებანი. სასარგებლოა არომა და ფიტოთერაპია, გასეირნება და ტანვარჯიში. ხელსაყრელი პერიოდია საქმიანი აქტივობისა და წამოწყებული საქმეების დამთავრებისთვის.

20 – მთვარის შეერთება სატურნთან ღრიანკალში. საალბათოა ოსტეოქონდროზის გამწვავება, ტკივილები მენჯ-ბარძაყის სახსრებში, რადიკულიტი. არ არის გამორიცხული ღვიძლთან, ვენებთან და სასქესო ორგანოებთან დაკავშირებული პრობლემები. დაიცავით დიეტა, ერიდეთ გაციებასა და ინფექციებს, ნუ ასწევთ მძიმე საგნებს და ნუ გადატვირთავთ ფეხებს. სასარგებლოა სუნთქვითი ვარჯიშები. მასაჟი.

22 – მზე გადადის თხის რქაში, სავსე მთვარე, მთვარის შეერთება მერკულთან თხის რქაში. საალბათოა იმუნიტეტის დაქვეითება, ქრონიკულ დაავადებათა გამწვავება, ცუდი განწყობილება. შესაძლებელია ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის გამწვავება, ტკივილები სახსრებში. რეკომენდებულია უარი ვთქვათ სიმძიმეების გადატანაზე, ვერიდოთ გაციებას, ტრავმატიზმს, დავიცვათ სიფრთხილე მგზავრობის დროს ტრანსპორტში და გზებზე. სასარგებლოა ხანგრძლივი დასვენება, სუნთქვითი ვარჯიშები. არ არის რეკომენდებული დავიწყოთ ახალი საქმეები, ავაგოთ გეგმები, გავიკეთოთ ოპერაციები და აცრები.

23 – მთვარის შეერთება ვენერასთან და პლუტონთან თხის რქაში. საალბათოა საყრდენ მოძრავი აპარატის, კბილებისა და კანის დაავადებანი, ენდოკრინული და ჰორმონალური დარღვევები. არ არის გამორიცხული კვებითი მოწამვლა. დაავადებებს შეიძლება ჰქონდეთ ინფექციური და ანთებითი ხასიათი. ერიდეთ გაციებას, ნუ ასწევთ სიმძიმეებს, გამოიყენეთ ხარისხიანი პროდუქტები. შესაძლებელია მატერიალური და მორალური დანაკარგები.



25 – მთვარის შეერთება მარსთან მერწყულში. შესაძლებელია განწყობილებათა მკვეთრი ვარდნები, კაპრიზულობა და გაღიზიანება, სიჯიუტე. საალბათოა სისხლის დაავადებანი, ნერვული მოშლილობა, ნერვების ვარიკოზული გაფართოების გაძლიერება და სახსრების სკლეროზი, გულის უკმარისობა, მხედველობის დასუსტება, თავბრუსხვევა, ძილის დარღვევა. აუცილებელია ვერიდოთ ტრავმატიზმს, დაცემებს, სტრესებსა და ინფექციებს, კონფლიქტურ სიტუაციებს, გავუფრთხილდეთ თავს, რომ არ მივიღოთ დარტყმები, ვერიდოთ ცეცხლსა და მახვილ საგნებს. ნუ გადატვირთავთ თვალებს, ნერვულ სისტემასა და ფეხებს. არ არის გამორიცხული პრობლემები მოგზაურობის, მოლაპარაკების დროს, არ არის სასურველი გართულებები საქმეებში, სატრანსპორტო შემთხვევები. ურთიერთობის გარკვევა პარტნიორებთან უმჯობესია გადავდოთ ურთიერთგაგების არარსებობის გამო. ხელსაყრელი დროა შემოქმედებითი საქმიანობისთვის, დასვენებისთვის, ფიზიკური ვარჯიშებისთვის, დაწყებული საქმეების დამთავრებისთვის.

26 – მთვარის შეერთება ნეპტუნთან თევზებში. შეიძლება შეინიშნებოდეს სისუსტე, მოდუნება. ერიდეთ საავარიო და ტრავმასაშიშ სიტუაციებს. დიდია ფსიქოლოგიური, ინფექციური და ალერგიული დაავადებების, შეშუპების, ძნელად დიაგნოზდასასმელი დაავადებათა ალბათობა, ტკივილები ფეხის ტერფებში. სასარგებლოა თავი შევიკავოთ სპირტიანი სასმელებისგან და ყავისგან, დავიცვათ დიეტა ღვიძლის მუშაობის შემსუბუქებისთვის, არ გადავლალოთ ფეხები. სასარგებლოა წყლის პროცედურები, ტერფების მასაჟი, მსუბუქი გასეირნება, ერიდეთ მოტყუებას, თვითმოტყუებასა და დანაკარგებს. ფრთხილად იყავით წყალთან, გაზთან და საყოფაცხოვრებო ქიმიის საგნებთან.

28 – მთვარის პირველი მეოთხედი. საალბათოა ქრონიკულ დაავადებათა გამწვავება, ვარდნები არტერიულ წნევაში, გულის რიტმის დარღვევა, ძილის დარღვევა, თავის ტკივილები. დღის გაზრდილმა ენერგეტიკამ შეიძლება გამოიწვიოს დავების, კონფლიქტების პროვოცირება. გააკონტროლეთ ფიზიკური და ემოციური დატვირთვები, გაუფრთხილდით ენერგიას, ერიდეთ სტრესებსა და კონფლიქტურ სიტუაციებს. კარგად ვითვისებთ საკვებს – შეიძლება სწრაფად მოვიმატოთ წონაში. სასარგებლოა გასეირნება, ზომიერი ფიზიკური ვარჯიშები და დატვირთვები, სრულფასოვანი ძილი.

29 – მთვარის ურანთან შეერთება ვერძში, მთვარის დალმავალი კვანძი. შესაძლებელია სიჯიუტე და გაღიზიანებულობა, მოულოდნელი ტრავმები, დაცემა, სპაზმები. დაავადებათა მიზეზი შეიძლება გახდეს ფიზიკური და გონებრივი გადატვირთვები, არასაკმარისი დასვენება. რეკომენდებულია უარი ვთქვათ აღმგზნებ საშუალებებზე, ალკოჰოლზე, შოკოლადზე, ცხიმიან და მძიმე საკვებზე, უნდა ვსვათ სუფთა წყალი, დავიცვათ ძილისა და დასვენების რეჟიმი, ვერიდოთ კონფლიქტურ სიტუაციებს, ვისეირნოთ, ჩავიტაროთ გამაჯანსაღებელი ღონისძიებანი.

აზრის ძალა



წარმოიდგინეთ სამყარო, რომელშიც არანაირი მოძრაობის გაკეთება საჭირო არ არის — თუნდაც ისეთის, როგორიცაა სინათლის ანთება, ანდა ჩაიდნის ცეცხლზე დადგმა. თანაც, ამ უტოპიაში აღმოჩენილს, თქვენ არც სიტყვების „შუქის“, არც „ჩაის დალევის დროა“-ს წარმოთქმა არ დაგჭირდებათ. ერთადერთი რამ, რისი გაკეთებაც მოგიწევთ, უბრალოდ უნდა გაიფიქროთ იმის შესახებ, რაც გსურთ რომ გააკეთოთ, დანარჩენს თქვენს მაგივრად ტექნოლოგია გააკეთებს.

წარმოჩენილი სურათი დღეს-დღეობით მხოლოდ მეცნიერული ფანტასტიკის საგანია, თუმცა კი ყოველივე რეალობად შესაძლოა 22-ე საუკუნეში, ან კიდევ უფრო ადრეც იქცეს. საუტჰემპტონის (დიდი ბრიტანეთი) უნივერსიტეტის **მეცნიერებმა ერთი ადამიანის აზრები მეორეს...ინტერნეტის მეშვეობით ისე გადასცეს, რომ კლავიატურას არავინ შეხებია, არც ხმით გაუცია რაიმე ბრძანება.** მაგრამ, მეცნიერები აცხადებენ, რომ ეს ტელეპათია არ არის — ყოველივე ეს კომპიუტერული ზემოქმედების, ანუ BCI-ის შედეგია.

გამოკვლევის არსი აზრთა ორნიშნა სიგნალებში ან ბრძანებებში გადაყვანაა, რომლის გაგება ჩვეულებრივ კომპიუტერსაც შეუძლია. ექსპერიმენტის ერთ-ერთ მონაწილეს მისი რომელიმე ხელის მოძრაობის შესახებ ფიქრი სთხოვეს, რა დროსაც თავზე სპეციალური ელექტროდები ჰქონდა მიმაგრებული. აზროვნების პროცესში თავის ტვინის აქტივობა ინტერნეტით „ერთიანის“ ან „ნულის“ ნიშნების სახით გადასცემდა.

ამ დროს, კაცი, რომელსაც აზრი გადაეცემოდა, საგანგებო ნათურების ტაბლოს წინ იჯდა, რომლებზეც, ინტენსივობიდან გამომდინარე, „ნულის“, ან „ერთიანის“ აღმნიშვნელი სხვადასხვა სიძლიერის შუქი ინთებოდა. განათებათა მთლიანი ფაქტობრივი სურათი იმდენად შეუმჩნეველი იყო, რომ განსხვავებათა თვალით დანახვა შეუძლებელი იყო, ამიტომ ისინი ამ მეორე კაცის მხოლოდ მხედველობით ქერქში აღიბეჭდებოდა.

ამ აქტივობას ელექტროდების მეორე წყება იტაცებდა და ნულებისა და ერთიანების ორნიშნა სერიები მონიტორზე ჩნდებოდა. ამგვარად, ერთი კაცის მოტორული ქერქიდან მეორეს მხედველობით ქერქში ინტერნეტით იყო მიმართული.

უნდა ითქვას, რომ მიღებული შედეგის მიუხედავად, ექსპერიმენტი, ცოტა არ იყოს, მოუქნელი გამოდგა. იმისთვის, რომ მოტორული ქერქის ელექტროდებმა მოძრაობა დააფიქსირონ, რამდენიმე წამია საჭირო, მაგრამ ასეთი განსხვავება მაშინაც წარმოიშვება, როცა შეტყობინება მიმღების მხედველობის ქერქში იტვირთება. თუმცა კი, გამოკვლევის წამყვანი სპეციალისტი, დოქტორი კრისტოფერ ჯეიმსი აცხადებს, რომ ეს მხოლოდ „აწყობის“ საქმეა, მომავალში მეცნიერები ინფორმაციის გასაგზავნად მხოლოდ აზრის ძალას გამოიყენებენ.

— ექსპერიმენტმა გვაჩვენა, რომ ერთი თავის ტვინი მეორეს შეიძლება აზრის ძალით დაუკავშირდეს, — ამბობს იგი.

პროექტმა სტარტი სულ ცოტა ხნის წინათ აიღო, ამერიკელი სამხედროები კი მასში უკვე მილიონებს აბანდებენ. იმის მიუხედავად, რომ მოწინააღმდეგის სამხედრო მანქანების დეზორიენტაცია ჯერ კიდევ ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნება, დოქტორი ჯეიმს უკვე ახლა ატარებს ცდებს მოტორიზებულ ინვალიდის ეტლთან, რომლის მართვა იქ მჯდომი კაცის აზრის ძალით იქნება შესაძლებელი.

ნინო ალექსანდრია

მილოცვა

ცნობილ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრს, მარიკა ბარათაშვილის პრემიის ლაურეატს, ქართული ჟურნალისტიკის „ამაგდარის“ წოდების მფლობელ ქალბატონ **ეთერ ფაცურიას** ვულოცავთ დაბადების დღეს.

დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და ახალ შემოქმედებით გამარჯვებებს ვუსურვებთ.

პატივისცემით
ილია ჭავჭავაძის სახელობის ლეღოფლის-წყაროს მწიგნობართა ასოციაცია

სათრეველა

ნუ აჰყვები პანიკას!

რეაქცია ინგა გრიგოლიას 5 დეკემბრის „რეაქციაგე“

რაც არ არის, ის გგონია
და მოუხმე ნაც-ბაცნების არიქას და შარიქას,
ნუ გვაშინებ გრიგოლია,
თითქოს ლარზე გრიგალია,
ნუ ქოთქოთობ, ნუ აჰყვები პანიკას!

ნუთუ მართლა დაივიწყე,
7 ნოემბერს რა დაგვმართეს
ბილწმა არაკაცებმა?
იმე!
რად არ ახსოვს „იმედს“
და არც ინგას, ის დღე მძიმე,
რომ აიკლეს ცოცხლსანმა ნაცებმა?
რად ვერ მიხვდნენ:
რადგან დღემდე ვერ ჩაგვძირეს,—
პანიკით სურთ ჩვენი ქვეყნის დაცემა!

ალექსანდრე შენგელია

იურიდიული კონსულტაცია

კითხვა: რომელი ორგანოს მეშვეობით შეუძლია პირს შელახვისაგან დაიცვას საკუთარი პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია?

მარიამ ფიფია

პასუხი: პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით დაიცვას საკუთარი პატივი, ღირსება, პირადი საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა ან საქმიანი რეპუტაცია შელახვისაგან. პირს, რომლის პატივის ან ღირსების შემლახველი ცნობებიც გამოქვეყნდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, უფლება აქვს გამოაქვეყნოს საპასუხო ცნობები ინფორმაციის ამავე საშუალებებში, ასევე, მოსთხოვოს საინფორმაციო საშუალებებს მის მიმართ გამოქვეყნებული არასწორი ინფორმაციის უარყოფა.

* * *

კითხვა: იქნებ მაცნობოთ, რამდენ დღეშია ვალდებული სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონული სამსახური განიხილოს პენსიის დანიშვნის საკითხი?

ნინო ბოგვერაძე

პასუხი: „სახელმწიფო პენსიების შესახებ“ კანონის მე-16 მუხლის შესაბამისად, პენსიის დანიშვნის საკითხი სააგენტოს რაიონულმა სამსახურმა უნდა განიხილოს განცხადებისა და ყველა საჭირო დოკუმენტის წარდგენიდან არა უგვიანეს 10 დღის ვადაში. აქვე გაცნობებთ, რომ შეზღუდული შესაძლებლობისა და საპენსიო ასაკის გამო, პენსია ინიშნება განცხადებისა და ყველა საჭირო საბუთის წარდგენის დღიდან.

* * *

კითხვა: შეიძლება თუ არა პირს უარი ეთქვას ისეთი ინფორმაციის გაცემაზე, რომელიც მოიცავს პერსონალურ მონაცემებს ან ჩანაწერებს მის შესახებ?

კონსტანტინე ცხადაძე

პასუხი: არა, არ შეიძლება. პირს უფლება აქვს, გაეცნოს მასზე არსებულ პერსონალურ მონაცემებს და ჩანაწერებს, რომლებიც დაკავშირებულია მის ფინანსურ/ქონებრივ მდგომარეობასთან ან სხვა კერძო საკითხებთან და მიიღოს ამ მონაცემების ასლები, გარდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა.

რუბრიკას უძღვება „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი

ცინცხალი ანეკდოტები

რუსეთის დაზვერვის მონაცემებით, რუსული რუბლის გაუფასურება აშშ-ის ბრალია. რად არ იქცევა ადეკვატურად რუსეთი და რატომ არ აუფასურებს ამერიკულ დოლარს? ვის სჭირდება ასეთი კეთილშობილება?

* * *

ტყუილად ფიქრობთ, რომ კეთილი ვარ: უბრალოდ არა მაქვს თქვენი სამყოფი ბოლმა!

* * *

ძალიან მიყვარს ჩემი ცოლის დაქალები. განსაკუთრებით მაშინ, როცა ცოლი შვებულებაში გადის.

თბილისი ისეთი ქალაქია, სადაც ლიფტშიც კი შეიძლება მოხვდე საცობში.

* * *

მე არა მაქვს ფინანსური პრობლემები, რადგან ფინანსები არასოდეს არ მქონია.

* * *

თუ ფულს ბანკში „შავი დღისთვის“ ინახავთ, გახსოვდეთ, რომ „შავი დღე“ მარტო ადამიანებს კი არა, ბანკებსაც უდგებათ!

* * *

— რატომ ითხოვ ჩემგან ერთთავად სექსს, იქნებ მე სხვა რამე მინდა? — უსაყვედურებს ცოლი ქმარს.

— იქნებ მეც სხვა ვინმე მინდა?

კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერონსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24